საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვური სიტყვაა, ცრუობით და ქრთამით ბერ-თის გაცვლა ყველა უპატიოსნობაზე უსამაგლესია.

პარასკევი, 11 მარტი. 2016 წ. №45 (7937), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ევროპამ კარი გაგვიღო!

უვიზოდ მიმოსვლა იქ დაბინავებას არ ნიშნავს!

ბიომეტრიული პასპორტების მფლობელ საქართველოს მოქალაქეებს შენგენის ზონაში 90 დღემდე ვადით ყოფნისთვის ვიზები აღარ დასჭირდებათ. ოღონდ, ეს მას შემდეგ მოხდება, რაც ევროპის პარლამენტი და ევროკავშირის საბჭო ევროკომისიის მიერ 9 მარტს გამოთქმული წინადადების შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებენ. ინიციატივა ვიზების გამარტივების თაობაზე ევროკომისარ დიმიტრის ავრამოპულისს ეკუთვნის, რომელიც აღნიშნავს: **„ჩვენ ვაღიარეთ საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევა, განახორციელოს სიღრმისეული და რთული რეფორმები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ კანონის უზენაესობის ხარისხსა და სამართლებრივ სისტემაზე. უაღრესად კმაყოფილი ვართ მიღწეული პროგრესით და ვიმედოვნებ, რომ ევროპის პარლამენტი და საბჭო ძალიან მალე მიიღებენ ჩვენს წინადადებას“.**

ამ წინადადებით, ბუნებრივია, კმაყოფილია მთავრობა, რომლისთვისაც წინასაარჩევნოდ ჰაერზე მეტად საჭიროა ამგვარი პროგრესის მიღწევა. თუმცა, პროცესი რამდენიმე თვე უცილობლად გაიწელება, ვინაიდან პროცედურები გარკვეულ დროს მოითხოვს. ეს საკითხი ევროკავშირის საბჭოში სხვადასხვა დონეზე განიხილება. ეს იქნება ჯერ მუდმივი წარმომადგენლების მოადგილეების, შემდეგ მუდმივი წარმომადგენლობების, ასევე მინისტრთა საბჭოს დონეზე განხილვა. საბოლოო გადაწყვეტილებამდე საკითხს შეისწავლიან შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრები, ხოლო მას კენჭს პარლამენტი უყრის. ცვლილებებს ხელს მოაწერენ ევროპარლამენტის პრეზიდენტი და ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები.

იხ. 2 გვ.

დიდი თამაშის მოლოდინში

რა ფორმით დაიშლება „ქართული ოცნება“?

3

როდის შეძლებს სოხუმი და ცხინვალი ევროკავშირთან თავისუფალ ვაჭრობას?!

6

DCFTA-ის მოთხოვნები

გიორგი მარგველაშვილი ილჰამ ალიევს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, ბაქოში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, აზერბაიჯანის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს შეხვდა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მხარეებმა საქართველო-აზერბაიჯანის ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებზე ისაუბრეს.

საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობის გაღრმავებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი გასული წლის ნოემბერში, აზერბაიჯანის პრეზიდენტის საქართველოში ოფიციალური ვიზიტისას ხელმოწერილმა ერთობლივმა დეკლარაციამ. პრეზიდენტებმა ენერგიის დივერსიფიცირებისა და ენერგოუსაფრთხოებასთან დაკავშირებული ორმხრივი პროექტებიც განიხილეს.

ალბანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი მხარდაჭერას გვპირდება

საქართველოს პრეზიდენტი აზერბაიჯანში ალბანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბუიარ ნიშანსაც შეხვდა.

შეხვედრისას საქართველოსა და ალბანეთს შორის ორმხრივი ურთიერთობების განვითარების საკითხებზე ისაუბრეს და პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის გაღრმავებისათვის მზადყოფნა გამოთქვეს.

საქართველოს პრეზიდენტმა ალბანეთის პრეზიდენტს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, ასევე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. პრეზიდენტებმა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში შექმნილი ვითარებაც განიხილეს.

დღის ამოჩანაწერიდან

– **პარლამენტარი**, უცხო მოყმე ვინმე, ფრიდონ საყვარელიძე, ოთხი წლის განმავლობაში, იმ დღეს პირველად გამობრწყინდა და გულში ჩახუტებული ნადეჟდა სავჩენკოს ფოტოთი, არც მეტი, არც ნაკლები, მისი უპირობო განთავისუფლება მოითხოვა პუტინისგან.

პუტინს რომ გაუგია, ფრიდონი, ხიდაშელის თანაპარტიელიაო, ისტერიკაში ჩავარდნილს, კრემლის გარშემო სირბილი და „მოხევის ქალო თინაოს“ სიმღერა დაუწყია.

მოსკოვს ცრემლების არ სჯერა, თორემ ათი თავი ხომ არა აქვს ფრიდონს, ფაქტია, მას ვინ დაუჯერებს!

თინა მოხევიშვილი.

რამდენად უსაფრთხოა კუსტარულად გადაკეთებული მიკროავტობუსები?

12

რა მოხდება მზისა და მთვარის დაბნელებებს შორის?

11

მიხეილ ჯიბუტი:

თუ ხელისუფლება დაიჯერებს, ქართველები თეთრის დაუხარჯავად მილიონებს მივიღებთ!

7

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!

◎ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲛ ᲙᲐᲠᲘ ᲒᲐᲒᲕᲘᲚᲝ!

ᲣᲕᲘᲖᲝᲓ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲘᲥ ᲓᲐᲑᲘᲜᲐᲕᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ!

(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი** იმედოვნებს, რომ საქართველოს ვიზალიბერალიზაციის პროცესს ევროკავშირი დააჩქარებს. **„იმედია, პროცესი ჩქარა წარიმართება,** – აღნიშნა მან მთავრობის სხდომაზე და ყველას მადლობა გადაუხადა, ვინც ამ საქმეში დადებითი წვლილი შეიტანა, **– რა თქმა უნდა, მადლობა მინდა გადავუხადო ევროკომისარს ამ საკანონმდებლო წინადადების ინიცირებისთვის. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეს არის ჩვენი ხელისუფლების, როგორც მთავრობის, ისე პარლამენტის ძალიან დიდი ძალისხმევისა და შრომის შედეგი. ეს არის ჩვენი მოქალაქეების მხარდაჭერის შედეგი“.**

ერთმნიშვნელოვნად ცხადია, რომ საზღვრების გახსნა და მარტივად გადაადგილება ყველა თანამედროვე მოქალაქის ოცნებაა. მით უფრო იმ ფონზე, რომ ბებერ ევროპას აზიელი თუ ახლო აღმოსავლეთიდან დევნილი მიგრანტები „უტევენ“, როცა ევროპელი ლიდერების ყოველდღიური საფიქრალი ევროპის საზღვრების ჩაკეტვა გახდა. იმ მოქალაქეებს, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია ევროპაში მოხვედრა, სულ რამდენიმე თვეში საქმე გაუმარტივდებათ. **უვიზო მიმოსვლის რეჟიმი 30 ქვეყანაზე გავრცელდება. შენგენის სივრცის ევროკავშირის წევრი 22 ქვეყანა: პორტუგალია, ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, იტალია, დანია, შვედეთი, ფინეთი, ავსტრია, საბერძნეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, მალტა. შენგენის კანდიდატი ევროკავშირის 4 წევრი ქვეყანა: კვიპროსი, ხორვატია, რუმინეთი, ბულგარეთი. შენგენის ასოცირებული 4 ქვეყანა: ისლანდია, ნორვეგია, ლიხტენშტაინი, შვეიცარია. ამ ჩამონათვალში არ შედის დიდი ბრიტანეთი და ირლანდია.**

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი უცხოეთში არალეგალურად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს ურჩევს, უვიზოდ მიმოსვლის ამოქმედების შემდეგ კანონიერად შევიდნენ ევროკავშირის ქვეყნებში: **„ყოფილა ისეთი ტრაგიკული სიტუაცია, როდესაც ბევრი იმის შიშით, რომ თუ საქართველოში დაბრუნდება, უკან ვეღარ წავა, საკუთარი ოჯახის წევრის გასვენებაშიც არ ჩამოსულა. პირველი ნაბიჯი იქნებოდა ის, რომ იმ ქვეყანაში, სადაც არიან, თავიანთი ვითარების დაკანონება მოახდინონ; თუ ეს შეუძლებელია, მაშინ შეეცადონ, რომ როდესაც დადგება უვიზოდ მიმოსვლის დღე, ახალ პირობებში კანონიერად შევიდნენ ევროკავშირის ქვეყნებში. პრობლემა ის არის, რომ უვიზოდ მიმოსვლა ევროკავშირის ქვეყანაში ცხოვრებას არ ნიშნავს!“**

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში აღნიშნავენ, როცა საზღვრები გაიხსნება, ჩვენ შევძლებთ ყოველგვარი ვიზეტის მოძიებისა და ბიუროკრატიის გარეშე ვიმოგზაუროთ ევროკავშირის ქვეყნებში მოკლევადიანი მიზნებით – ეს იქნება ტურიზმი, საზაფხულო სკოლა, ახლობლების მონახულება თუ უბრალოდ, სიახლეების ნახვა.

საქართველოდან გასული ადამიანების დიდი უმრავლესობა ევროპას თავს აფარებს იმ მიზნით, რომ დასაქმდეს, თუმცა, ვიზალიბერალიზაციის პროცესი ამ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს გამორიცხავს. უვიზო მიმოსვლა ევროკავშირის ქვეყნებში სწავლისა და ლეგალური მუშაობის უფლებას არ გულისხმობს. ამდენად, ალბათ, არალეგალურად დასაქმებული საქართველოს მოქალაქეებისთვის შვება უბრალოდ არ იქნება, მეტიც, შეიძლება ამიერიდან იქ მათ უსაფრთხოებას კიდევ უფრო მეტი პრობლემა შეექმნას.

თეა წულუკიანი ამასთან დაკავშირებით მკაცრ განმარტებას აკეთებს: **„უვიზო მომოსვლა უპირველესად გულისხმობს იმას, რომ ჩვენ უნდა გვქონდეს უკანასკნელი თაობის ბიომეტრიული პასპორტი. როცა ჩვენ შეევალთ ევროკავშირის ზონაში, აუცილებლად უნდა დავიცვათ იქ ყოფნის მაქსიმალური ვადა. უვიზო მიმოსვლა არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ იქ დასახლების უფლება გვეძლევა, ან სამუშაოდ დარჩენა შეგვეძლება. თუ ასე მოხდება, ეს იქნება წესების დარღვევა და ასეთი მოქალაქე გამოძებული იქნება მოცემული ტერიტორიიდან. ამიტომაც გადავუხადე მადლობა ჩვენს სამართალდამცველებს, პოლიციის ატაშეებს, მიგრაციის სპეციალისტებს, რომ მათ ითანამშრომლეს ევროპელ კოლეგებთან და შევთანხმდით შედეგზე, ასეთ მოქალაქეებს საქართველოში დავაბრუნებთ და შემდეგ მათ უკვე რამდენიმე წელი აეკრძალება ევროკავშირის ქვეყნებში შესვლა“.** მისივე თქმით, გამოიცა ბროშურა, სადაც უვიზო მიმოსვლის პროცედურებია განმარტებული და ეს ბროშურები მოქალაქეებს პასპორტის აღების დროს გადაეცემათ.

„ჩვენმა სამართალდამცველებმა დაარწმუნეს ევროპელი კოლეგები, რომ საქართველოს მოქალაქე, რომელიც უვიზო მიმოსვლის პირობებში შევა ევროპაში, კანონმორჩილი მოქალაქე იქნება, – ამბობს იუსტიციის მინისტრი და იქვე აფრთხილებს მოქალაქეებს, რომ მათ ქვეყნის ღირსებაც უნდა დაიცვან, **– ყველანი ყურადღებით უნდა ვიყოთ, რომ არა მარტო საკუთარი თავი და ოჯახები, არამედ ქვეყანაც არ შევარცხვინოთ, რადგან ევროკავშირის ქვეყანაში შესვლა ნიშნავს ევროკავშირში მოქმედი კანონების განუხრელად დაცვას და აქაური წესების პატივისცემას!“**

ასე რომ, საქართველო მოლოდინის რეჟიმში გადაერთო. საშინაო დავალებების ჩაბარების შემდეგ, რომელმაც ევროპელთა მაღალი შეფასება დაიმსახურა, სავარაუდოდ, ზაფხულში გაირკვევა, ბოლოს და ბოლოს, ჩააბარა თუ არა ჩვენმა ქვეყანამ გამოცდა. ევროპარლამენტის თანხმობის შემდეგ, ცვლილებების საფუძველზე **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲘᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲜᲣᲡᲮᲐᲨᲘ ᲨᲔᲕᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲜᲒᲔᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲣᲕᲘᲖᲝ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲗ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲔᲜ. ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐᲜ ᲛᲝᲙᲚᲔᲕᲐᲓᲘᲐᲜᲘ ᲣᲕᲘᲖᲝ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘ ᲠᲔ�გᲣᲚᲐᲪᲘᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ 20 ᲓᲦᲔᲨᲘ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲓᲔᲑᲐ.**

 თეა მოსია

◎ ᲤᲝᲠᲣᲛᲘ

ᲐᲜᲐᲙᲚᲘᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲘᲗ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲨᲘ მიმდინარე გლობალური ინფრასტრუქტურული ფორუმის ფარგლებში, ფორუმის ორგანიზატორებისა და ანაკლიის განვითარების კონსორციუმის ორგანიზებითა და აშშ-ში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით მიღება გაიმართა, რომელიც საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა გახსნა.

ვიცე-პრემიერმა ისაუბრა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მნიშვნელობაზე არა მხოლოდ საქართველოს ეკონომიკისა და მისი მოსახლეობისთვის, არამედ რეგიონისთვის და ისეთი გლობალური სატრანსპორტო-ლოგისტიკური მიმართულებისთვის, როგორიცაა ახალი აბრეშუმის გზა.

დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, გლობალური ინფრასტრუქტურის ფორუმი ის პლატფორმაა, სადაც ქვეყნებს ეძლევათ შესაძლებლობა, ფართო საზოგადოებას გააცნონ წარმატებული ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც მათ ქვეყნებში მიმდინარეობს ან სამომავლოდ უნდა განხორციელდეს. მისი განცხადებით, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის წარდგენა მსოფლიო მასშტაბით არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ამით აღნიშნული პროექტი საერთაშორისო მასშტაბით გაცილებით ცნობადი გახდა და მიიღებს

ყველა მნიშვნელოვან მხარდაჭერას, რაც პროექტს განხორციელებისთვის ესაჭიროება.

მინისტრის განცხადებით, ანაკლიის პორტში, მხოლოდ პირველ რამდენიმე ფაზაში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით 550 მილიონზე მეტი უნდა განხორციელდეს. ასევე მნიშვნელოვანი იქნება თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარება, რომელიც რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის ინვესტიციაა და შექმნის რამდენიმე ათეულ ათას ახალ სამუშაო ადგილს. „ეს არის ის სიკეთე, რომელიც, საბოლოო ჯამში, ჩვენს ქვეყანას ანაკლიის პორტის განვითარებამ უნდა მოუტანოს და გააძლიეროს საქართველოს მნიშვნელობა აბრეშუმის გზაზე,“ – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

◎ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ᲠᲐ ᲒᲐᲜᲫᲘ ᲒᲕᲭᲝᲜᲘᲐ...

ᲚᲘᲑᲔᲠᲗᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲡᲘᲛᲝᲜ ᲯᲐᲜᲐᲨᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲨᲘ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ „ᲜᲣᲛᲘᲖᲛᲐᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲫᲣᲠᲘᲡ“ �გᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ.

„ნუმიზმატიკური საგანძურის“ ექსპოზიციით საზოგადოებამ გაიცნო საქართველოს ტერიტორიაზე ფულის მომოქცევის ისტორია ძვ.წ VI საუკუნიდან 1834 წლამდე.

გამოფენა პრემონეტარული ნივთების გაცნობით დაიწყო, სადაც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა წონისა და ზომის ბრინჯაოს მასიური რგოლები (ძვ.წ. II-I ათასწლეული), კაური (ინდოეთის ოკეანეში გავრცელებული მოლუსკის ნიჟარა) და შრომის სხვადასხვა იარაღი, რომლებიც უძველეს დროში საქონლის ღირებულების საზომად გამოიყენებოდა.

ექსპოზიციაზე ასევე წარმოდგენილი იყო კოლხური თეთრის იშვიათი ნიმუშები, კოლხეთის მეფის აკის სტატერი, ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სტატერების ადგილობრივი მინაბაძები, რომის პირველი იმპერატორის ოქტავიანე ავგუსტუსის დენარებისა და რომაული საიმპერატორო აურეუსების იბერიული იმიტაციები.

დამთვალიერებლისათვის პირველად გამოიფინა ქართულ-სასანური იშვიათი დრამები, ჯაფარიანების თბილური დირჰემები, ბაგრატიონების ბიზანტიური ტიტულიანი ვერცხლის ქართული საფასეები, დავით აღმაშენებლის ვერცხლის მონეტა, რუსუდან დედოფლის უნიკალური დრამა, გიორგი IV ლაშას უნიკალური სპილენძის მონეტა, ყვარყვარე ათაბაგის, იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეების მონეტები.



საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მონეტები, რომლებიც 27 საუკუნეს ითვლის, ზუსტად ასახავს ქვეყნის იმდროინდელ კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, რაც მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა სახელმწიფოსათვის.

ნუმიზმატიკის კაბინეტი საქართველოში პირველად ეროვნული მუზეუმის ეგიდით სვანეთის მუზეუმში გაიხსნა. ამჯერად კი, ასეთი ფართო მასშტაბით, პირველად წარედგინა საზოგადოებას.

ᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ

14 ᲛᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ (BCT) ᲘᲛ ᲐᲮᲐᲚ�გᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲔᲡ, ᲘᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲝᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ.

ვითარების ადგილზე გასაცნობად საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრს ესტუმრა.

„ვიწყებთ საბაზისო მომზადებას. შევამოწმეთ საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრის განლაგება და მდებარეობა. პირადად ვნახე, რა მდგომარეობაა ადგილზე და რამდენად მზად არის ინფრასტრუქტურა რეკრუტების მისაღებად, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს იმსახურონ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. შევხვდი ინსტრუქტორებს და შემიძლია გითხრათ, რომ ეს ინსტრუქტორები საუკეთესოები არიან და ისინი მთელი შეიარაღებული ძალებიდან შეირჩნენ. აღნიშნული კურსის განმავლობაში არა მხოლოდ რეკრუტები მომზადდებიან, არამედ, განხორციელდება მომზადების მეთოდების შესწავლა, თუ რამდენად გაამართლა წვრთნების აღნიშნულმა მეთოდებმა, რამდენად იმუშავა და რა არის გასაუმჯობესებელი. ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ ამ მომზადებაზე“, – განაცხადა გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძე.

რეკრუტები საწყისი საბრძოლო მომზადების კურსს ათი კვირის განმავლობაში გაივლიან. კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ, ისინი საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა ქვედანაყოფებში გადანაწილდებიან და გააგრძელებენ პროფესიულ სამსახურს.

რა ფორმით დაიშლება „ქართული ოცნება“?

საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე სულ რამდენიმე კვირა რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ეს არჩევნები, თითქოსდა, არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც 2012 წლის პარლამენტის არჩევნები და არც 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნებივით მოასწავებს (ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით წინაპირობები არ ჩანს) „რევოლუციას“, ნუ დავივიწყებთ მნიშვნელოვან გარემოებას: ორივე წინა არჩევნებისგან განსხვავებით, დღეს საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკაა. მას მართავს არა პრეზიდენტი, არამედ მთავრობა, რომლის დაკომპლექტება მთლიანად პარლამენტზეა დამოკიდებული. ამიტომაც, მმართველი ძალის ერთიანობას არა თუ დიდი, არამედ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს!

ხიდაშელ-თოფაძის ცნობილი ინციდენტის შემდეგ, მმართველი ძალის ლიდერები წინააღმდეგობრივ განცხადებებს აკეთებენ. უფრო სწორად, მათი განცხადებები იმდენად დიპლომატიური და ბუნდოვანია, რომ მართლა ძნელია, მკაფიო აზრი გამოიტანო და გასცე პასუხი საკვანძო კითხვას: იქნებიან თუ არა „რესპუბლიკელები“ კოალიციის შემადგენლობაში მომავალი არჩევნების დროს? ანუ, მარტივად: მიიღებენ თუ არა ისინი მონაწილეობას ამ არჩევნებში პარტია „ქართულ ოცნებასთან“ ერთად?

ამაზე, ჯერჯერობით, პასუხი არ არსებობს. თუმცა, ზოგიერთი დეტალი მეტყველებს, რომ ბიძინა ივანიშვილის გუნდი, ანუ მისი უახლოესი გარემოცვა, რომელიც პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის კაბინეტშია კონსოლიდირებული, უკვე ცალ-ცალკე არჩევნებისკენ იხრება, რაც უეჭველად ნიშნავს რესპუბლიკელთა წასვლას ხელისუფლებიდან, რაკი ეს „ინტელექტუალთა კლუბი“ საარჩევნო ბარიერს დამოუკიდებლად ნამდვილად ვერ გადალახავს. არც არასდროს გადაულახავს ცალკე და ვერც ახლა შეძლებს. თუ რატომ – სხვა საკითხია.

* * *

ითვლება, რომ რესპუბლიკელები ძალიან ძლიერ ბერკეტებს ფლობენ ხელისუფლებაში. ასახელებენ მინისტრებს, პარლამენტის თავმჯდომარეს და ა.შ. მაგრამ დავსვათ კითხვა: რას წყვეტენ თავდაცვის, გარემოს დაცვისა და შერიგების მინისტრები? დიდს არაფერს!

პარლამენტის თავმჯდომარე, ფორმალურად, მეორე პირია ქვეყანაში, მაგრამ რეალურად, იგი მხოლოდ სპიკერია და უმრავლესობის გარეშე სრულიად უძლური შეიძლება აღმოჩნდეს კრიტიკულ ვითარებაში.

სერიოზული გავლენა რესპუბლიკელებს მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდათ, ისინი რომ აკონტროლებდნენ, ვთქვათ, ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს; მათი რომ იყოს გენერალური პროკურორი და ა.შ.

დღეს კი, „რესპუბლიკური პარტია“ მხოლოდ დიზაინის ფუნქციას ასრულებს, რომელიც იმისთვის სჭირდება (სჭირდებოდა) ოცნებას, რომ მთავარი მოწინააღმდეგისა და მტრის – „ნაციონალური მოძრაობისათვის“ – არ მიეცა პრორუსულობის დაბრალების საშუალება. ყველა–ყველა და პრორუსულობას რესპუბლიკელებს ვერავინ დააბრალებს. მათი ლიდერები ხომ პერმის საკონცენტრაციო ბანაკის ბინადარნი იყვნენ წლების განმავლობაში.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკელთა მზარდმა ამბიციებმა მმართველი გუნდი აშკარად დაღალა. გიორგი კვირიკაშვილის მკაცრი განცხადება თინა ხიდაშელის მიმართ, უწინარესად იმით იყო გამოწვეული, რომ თავდაცვის მინისტრის საჯარო ეგზერსისები პრემიერის იმიჯს ურტყამდა: პოლიტიკური ტექნოლოგიის დაუწერელი კანონია: მინისტრი არ შეიძლება აკეთებდეს ისეთ პოლიტიკურ განცხადებებს, რომელიც ჯერ მთავრობის მეთაურს არ გაუკეთებია. და თუ რომელიმე მინისტრი (მით უმეტეს თავდაცვის მინისტრი!) რაიმე თემაზე მწვავედ გამოდის მანამ, სანამ პრემიერ-მინისტრი გამოთქვამდეს საკუთარ პოზიციას, ეს პირდაპირ ლახავს პრემიერის ავტორიტეტს! შესაძლოა ისრაელში ან შვედეთში ასე არ იყოს, მაგრამ საქართველოში ნამდვილად, ასეა!

ის, რომ „ოცნება“ რესპუბლიკელებთან „განქორწინებაზე“ ფიქრობს, ბოლოდროინდელი ინიციატივით დასტურდება: პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა პარლამენტს შესთავაზა საკონსტიტუციო შესწორება ოჯახის, და ქორწინების, როგორც „ქალისა და მამაკაცის ერთობის“ შესახებ. გიორგი კვირიკაშვილმა, ისევე, როგორც პარტია „ოცნების“ სხვა ლიდერებმა შესანიშნავად იციან, რომ „რესპუბლიკელები“ ამ შესწორებას მხარს არ დაუჭერენ. არადა, ძალიან მნიშვნელოვანი, საზოგადოებრივად რეზონანსული, ფილოსოფიური და კონცეპტუალური საკითხია! იქმნება სიტუაცია, რომ „რესპუბლიკელებს“, მთელი მათი ინტელექტის მიუხედავად, „კარგი სვლები“ აღარ რჩებათ: თუ ესოდენ ფილოსოფიურ, პრინციპულ საკითხში არ ეთანხმები მმართველ ძალას და მაინც რჩები მასთან კოალიციაში, მაშასადამე თავად ხარ უპრინციპო!

* * *

„ჩვენ რატომ უნდა გავიდეთ კოალიციიდან, ისინი თავად გავიდნენო“ – ხშირად უთქვამთ ლიბერალური პარტიის წარმომადგენლებს. ოღონდ ეს არგუმენტი არ გაჭრის. გაჭრიდა იმ შემთხვევაში, კოალიციას არა „ქართული ოცნება“, არამედ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია (როგორც 1994 წელს) რომ ერქვას. ან „ოცნება“ და „რესპუბლიკელები“ თანაბარზომადი ძალები იყონ. მაგრამ ხომ ცხადია, ვინ არის ამჟამინდელ კოალიციაში წამყვანი და ვინ – „დიზაინისთვის“ შემოყვანილი?

არაა გამორიცხული, გიორგი კვირიკაშვილი, ხსენებული ინიციატივით, „რესპუბლიკელთა“ ლიდერებს ეუბნებოდეს: თუ გინდათ, წადით, სადაც გნებავთ, მაგრამ თუ დარჩებით, მთავარ გადაწყვეტილებებს ჩვენ მივიღებთო.

საპასუხოდ, რესპუბლიკელებმა შესთავაზეს, გაფორმდეს ორპარტიული შეთანხმება.

ბევრმა არასწორად გაიგო, თითქოს ლაპარაკია ორპარტიულ კოალიციაზე, რაც შეცდომაა: „რესპუბლიკელთა“ ლიდერები, სინამდვილეში, იმას კი არ გულისხმობენ, კოალიციაში მხოლოდ ორი პარტია იყოს, არამედ მოითხოვენ „ვეტოს“ უფლებას მნიშვნელოვან კოალიციურ გადაწყვეტილებებზე. ლევან ბერძენიშვილს ხომ ადრეც უთქვამს: რესპუბლიკელები პარტნიორებს სთავაზობენ საგანგებო დოკუმენტის გაფორმებას, რომელშიც არა მხოლოდ პროდასავლური კურსი და ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა იქნებოდა „გაწერილი“ (როგორც 2011 წელს), არამედ კოალიციაში ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი, კვოტები პოლიტსაბჭოში და ა.შ.

ეს არის სწორედ „ვეტო“ უფლება.

საეჭვოა, ბიძინა ივანიშვილის გუნდი ამას დაეთანხმოს. ამდენად, ისიც საეჭვოა, კოალიციამ ერთიანობა შეინარჩუნოს, თუ ერთ-ერთი მხარე სერიოზულ კომპრომისზე არ წავა საკუთარ ღირებულებებთან.

პრობლემის თავი და თავი კი ისაა, რომ 2011 წელს კოალიცია შეიქმნა არა რაიმე ერთობლივი ღირებულებების გარშემო, არამედ მიშას წინააღმდეგ. ვიღაცის „წინააღმდეგ“ შექმნილი კოალიციები შეუძლებელია მყარი იყოს.

ახლა განსაკუთრებული გონიერება და სიზუსტე სწორედ „რესპუბლიკელებს“ მართებთ. საკონსტიტუციო შესწორებით, ივანიშვილ-კვირიკაშვილის გუნდმა მათ ულტიმატუმი წაუყენა და რესპუბლიკელებმა ზუსტად უნდა განსაზღვრონ, რაზე წამოვა „ოცნება“ და რაზე უკვე არა. ანუ, სად გადის წითელი ხაზი „პრაგმატიზმსა“ და სრულ ღირებულებით დევალვაციას შორის!

ნიკა იმნაიშვილი

ვის ვანდობთ ჩვენი შვილების განათლებას?!

გავრცელებული ინფორმაციით, სკოლის მასწავლებელთა უმრავლესობამ მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა ვერც ამჯერად მოახერხა. პედაგოგთა ბოლო საგნობრივი გამოცდა მიმდინარე წლის იანვარში ჩატარდა, სადაც სულ 10 552 პრაქტიკოსი პედაგოგი დარეგისტრირდა, მათგან ტესტირება 6 477-მა გაიარა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, რომელიც 60%-ით განისაზღვრებოდა, 1 101-მა გადალახა. ანუ საერთო რაოდენობის თითქმის 17%-მა.

ოფიციალური მონაცემების თანახმად, ყველაზე სავალალო შედეგი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს აქვთ. კერძოდ, გამოცდაზე მისული 1 167 პედაგოგიდან კომპეტენციის დადასტურება მხოლოდ 94-მა პედაგოგმა, ანუ დაახლოებით 8%-მა შეძლო. 381-დან მხოლოდ 26-მა, ანუ საერთო რაოდენობის თითქმის 7%-მა ჩააბარა მათემატიკის გამოცდა, რაც შეეხება ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდას, 317-დან ზღვარის გადალახვა მხოლოდ 15%-მა მოახერხა. საერთო რაოდენობის 9%-მა გადალახა ზღვარი ბუნებისმეტყველებაში. 19.%-მა ფიზიკაში და თითქმის 17%-მა ქიმიაში.

რაც შეეხება უცხო ენის გამოცდას, ინგლისური ენის გამოცდაზე სულ 458 პედაგოგი გავიდა, საიდანაც ზღვარის გადალახვა 83-მა შეძლო, 29-დან 10-მა დაამტკიცა თავის კომპეტენცია გერმანულ ენაში, რაც შეეხება რუსულს, ამ შემთხვევაში ზღვარის გადალახვა გამოცდაზე გასული საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტმა შეძლო.

უნდა ითქვას, რომ ჩატარებული 19 საგნობრივი გამოცდიდადან რუსული ენის 55%-იანი შედეგი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. იგივე ტენდენცია იყო წინა გამოცდაზეც. რუსული ენის 336 მასწავლებლიდან 162-მა ჩააბარა გამოცდა 2015 წლის ივლისში ჩატარებულ გამოცდის დროსაც. ყველაზე ტრაგიკული შედეგი წინა ჯერზეც დაწყებითმა კლასის პედაგოგებმა აჩვენეს, რომლის მიხედვითაც გამოცდაზე მისული 2 281 პედაგოგიდან კომპეტენციის დადასტურება მხოლოდ 90-მა ანუ 3.9%-მა შეძლო.

მასწავლებელთა გადამზადების ცენტრის ინფორმაციაზე დაყრდნობით, პროფესიული განვითარების სქემის განხორციელების პროცესში მოქმედ მასწავლებლებს იგივე გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა კიდევ ხუთჯერ მიეცემათ.

მინისტრი უკეთეს შედეგებს მაინც არ მოელოდა

მასწავლებელთა გამოცდების შედეგებს, რომლის თანახმადაც, 83 %-მა პროფესიული გამოცდები ვერ ჩააბარა, განათლების მინისტრი გამოეხმაურა და განაცხადა, რომ უკეთესი მოლოდინი არც არსებობდა. მისი განმარტებით, სახელმწიფომ სისტემა თავიდან ბოლომდე შეცვალა. „შეიქმნა სისტემა, რომლის მიხედვითაც ყველა მასწავლებელს თანაბრად ექნება საშუალება, საჭიროებებზე მორგებული გადამზადება გაიაროს. ეს სისტემა 2015 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა და პირველად 2016 წლის ზამთარში ჩატარდა ტესტირება“.

თამარ სანიკიძე მიიჩნევს, რომ მდგომარეობა არც ისე საავალალოა, რადგან სახელმწიფომ უკვე მოძებნა გამოსავალი, გაუკეთა ორგანიზება და კოორდინირება ყველა საერთაშორისო ორგანიზაციისა თუ დონორის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს.

„ვიცით, რომ მილენიუმის კომპაქტის ერთ-ერთი კომპონენტი - 16 მლნ მიმართულია სწორედ მასწავლებელთა განათლების ხელშეწყობაზე, ასევე დაგეგმილია ყველა ის საჭირო ღონისძიება, რომელიც ამ წუთებში მიმდინარეობს და ჩვენ ვიცით, რომ სიახლის შემდეგ შედეგები მეორე დღეს არ დგება. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვაგრძელებთ მასწავლებელების მხარდაჭერას, რომ მათ სამი წლის განმავლობაში უპასუხონ გამოწვევებს და მოთხოვნებს, რომლებიც სახელმწიფომ დაუსახა“, – განმარტა თამარ სანიკიძემ.

ქართველი მწერალი, რომელიც გერმანიის მომავალს განსაზღვრავს

გერმანულენოვანი ქართველი მწერალი ნინო ხარატიშვილი ვენას სტუმრობდა. იგი ავსტრიის დედაქალაქში ადგილობრივ და ქართველ ფანებს შეხვდა. ღონისძიება ავსტრიაში საქართველოს საელჩოსა და ვენის ცნობილი წიგნის სახლის (Hartliebs Bucher) ორგანიზებით გაიმართა. სალამოზე წარმატებული რომანების ავტორმა თავისი ბოლო ნაწარმოებიდან „მერვე სიცოცხლე (ბრილკასთვის)“ ამონარიდები წაიკითხა და მკითხველს თავისი შემოქმედების შესახებ უამბო. ივენთზე მისულ სტუმრებს ქართული ღვინისა და ხაჭაპურის დეგუსტაციის საშუალება მიეცა.

ნინო ხარატიშვილი გერმანიაში მცხოვრები და თეატრალურ სამყაროში კარგად ცნობილი ქართველი მწერალია. მისი რომანი „ჟუჟა“ 2010 წელს გერმანიაში გამოცემული წიგნების ბესტსელერთა სიაში მოხვდა და ამისთვის ნინო ხარატიშვილს გერმანული ლიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისათვის ადალბერტ ფონ შამისოს პრემია გადასცეს. 2011 წელს ნინო ხარატიშვილის მერე რომანი – „ჩემი ნაზი ტყუპისცალი“ – გამოვიდა, რომელმაც არანაკლები წარმატება მოუტანა ავტორს. გერმანელმა კრიტიკოსებმა ის თანამედროვე კლასიკად შეაფასა. ნაწარმოები წლის 10 საუკეთესო წიგნთა შორის მოხვდა და გერმანიის დამოუკიდებელ გამომცემლობათა ასოციაციის პრემიით დაჯილდოვდა.

2014 წელს გამოსული „მერვე სიცოცხლე (ბრილკასთვის)“ წლის წასაკითხ საუკეთესო წიგნად და ასევე საუკეთესო გამოცემად იყო დასახელებული. რომანში რვა სიცოცხლის ამბავია მოთხრობილი. რომანის ლიტერატურულ მასალად საქართველოს ისტორიის ბოლო 100 წელი, დღევანდელობამდე არის აღებული. 2011 წლის სოციოლოგიური გამოკვლევის მიხედვით, ნინო ხარატიშვილი იმ 100 ქალთა შორის არის დასახელებული, რომლებიც გერმანიის მომავალს განსაზღვრავენ.

◎ როგორ ავაღორძინოთ მეწარმეობა

შევუქმნათ საწარმოებს მომგებიანი ბიზნესის პირობები!

გაუგებარია, რატომ ვამბობთ უარს უპროცენტო ემისიურ კრედიტებზე?

ყველა პარტია, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლას აპირებდა, წინასაარჩევნო პერიოდში ხალხს ჰპირდებოდა, რომ გახელისუფლებისთანავე ხელს მოჰკიდებდა მცირე და საშუალო მეწარმეობის აღორძინება-განვითარებას, შეუქმნიდა მათ მომგებიანი ბიზნესისა და ხალხის დასაქმებისთვის სასურველ სამუშაო გარემოს. ეს სიტყვით, მაგრამ საქმით რომ არაფერი კეთდებოდა, ამის უშუალო მომსწრენი ვართ დღესაც, როცა ვუყურებთ გაჩერებულ ეკონომიკას, გაუფასურებულ ეროვნულ ვალუტას, დაუსაქმებელ ადამიანებს და უცხოური ნაწარმით გაჯერებულ ქართულ ბაზარს.

დღეს საქართველოს ეკონომიკაში მოძრაობს დაახლოებით 5 მილიარდი ლარის ფულადი მასა, აქედან 1,5 მილიარდი ლარი დაუსაქონლებელია, რაც ზრდის ლარის ინფლაციურ რისკს. გარდა ამისა, ფულის ამ მასისა და დღევანდელი მშპს-ის შეფარდების მაჩვენებლით საქართველო 600-700 პროცენტით ჩამორჩება ევროატლანტიკური ქვეყნებისა და იაპონიის მაჩვენებლებს, რაც იწვევს ფულის „მწვავე შიმშილს“, საწარმოთა საბრუნავი სახსრების კატასტროფულ უკმარისობას, მოსახლეობის მყიდველუნარიანობის მასობრივად დაქვეითებას და მთელი სამრეწველო პოტენციალის სტაგნაციას.

— ამ მძიმე მდგომარეობიდან ქვეყნის ეკონომიკისა და მეწარმეობის დასახსნელად ნუთუ არავის უფიქრია, არც მეცნიერს, არც სპეციალისტს, არც თავად მეწარმეს, რომ აღარაფერი ვთქვათ ხელისუფლებაზე? — ვეკითხები თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის თავმჯდომარეს, ბატონ ანზორ საკანდელიძეს, რომელსაც ამ დარგში მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვს.

— როგორ არ გვიფიქრია, ჩემო ბატონო, არა თუ გვიფიქრია, მთავრობას 2005 წელს ამ ფინანსური კრიზისიდან თავის დაღწევის მიზნით, აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის მიერ შესწავლილი უპროცენტო ემისიური დაკრედიტების პროგრამაც შევთავაზეთ, მაგრამ ამაოდ.

— მაგ პროგრამით რას სთავაზობდით?

— იმას, რომ ინფლაციის საშიშროების გარეშე საზრუნავი სახსრების შესავსებად შეიძლება გამოვიყენოთ უპროცენტო კრედიტების გაცემა სწრაფად რეალიზებადი პროდუქციის დამამზადებელ ისეთ საწარმოებში, რომლებიც შეძლებენ ამ კრედიტის გამოყენებით პროდუქციის დამზადებასა და რეალიზებას კრედიტის მიღებიდან 6 თვის განმავლობაში. ემისიურ კრედიტებს ძირითადად გამოიყენებენ უნაღდო ანგარიშსწორებით, მისი მიღება იწარმოებს ეტაპობრივად, პროდუქციის რეალიზაციის შესაბამისად.

პროგრამის წარმატება რომ გარანტირებული ყოფილიყო, მასზე საექსპერტო დასკვნის გაკეთება ვთხოვეთ მაშინდელ საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს ლეო ჩიქავას, რომლის თავმჯდომარეობითაც შეიქმნა გამოჩენილ მეცნიერთა და სპეციალისტთა სამუშაო ჯგუფი. ორი თვის ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ, 2005 წლის დეკემბერში, ჯგუფმა მიიღო დადებითი გადაწყვეტილება. ვინაიდან ხსენებულ პროგრამაში ძირითადად სოფლის მეურნეობის სწრაფად რეაგირებადი პროდუქტების გადამმუშავებელი საწარმოები მოიაზრება, ჩვენ ამ პროგრამის გამოყენებამ 2005-2012 წლებში რამდენჯერმე შევთავაზეთ ნაციონალური ხელისუფლების დროინდელ სოფლის მეურნეობის სამინისტროს. თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, ამაოდ.

ამასობაში დავამუშავეთ და დავაპატენტეთ ასევე აკადემიკოს ლეო ჩიქავას მიერ მოწონებული „მცირე მეწარმეობისა და სახელმწიფოს მიზეზით დაზარალებულთა ზარალის ანაზღაურების ერთიანი კომპლექსური რეფორმების მეგაპროგრამა“, რომელიც ჩვენს მიერ მიგნებული საგადასახადო თამასუქების ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით ახდენს სახელმწიფოს მიზეზით დაზარალებულთა მილიარდობით ლარის ზარალის კაპიტალიზაციას ახლად გახსნილი სამრეწველო საწარმოების ადგილობრივ ინვესტიციებად. ასეთი ტრანსფორმაციის შედეგად საწარმოები იმუშავებენ გარანტირებულ მოგებაზე, რაც თანდათანობით უზრუნველყოფს დაზარალებულთა ზარალის ანაზღაურებაკომპენსაციასა და სახელმწიფოს მიერ შიდა ვალად აღიარებული ზარალის გასტუმრებას. რაც მთავარია, ამ სამრეწველო საწარმოებში ერთი დასაქმებული არასამრეწველო ბიზნესებში დამატებით ავტომატურად შექმნის 5-6 ახალ სამუშაო ადგილს.

ამ უნიკალური მეგაპროექტისა და ზემოთ განხილული ივერი ფრანგიშვილის უდავოდ საინტერესო პროგრამის გაერთიანების საფუძველზე, დავამუშავეთ და 2012 წლის აგვისტოში დავაპატენტეთ „საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამმუშავებელი მრეწველობის აღორძინების კომპლექსური პროგრამა“, რომელიც იმავე წლის დეკემბერში ოფიციალურად წარვუდგინეთ სოფლის მეურნეობის მინისტრს. მხოლოდ 3 თვის შემდეგ მაშინდელი მინისტრის მოადგილის შალვა ფიფიას ხელმოწერით მივიღეთ პასუხი, რომელიც თავაზიანი უარის შემდეგ ამ სიტყვებით მთავრდებოდა: „**სამინისტრო ყოველთვის არის მზად, მიიღოს ახალი წინადადებები და პროექტები და მოწონების შემთხვევაში მოახდინოს სათანადო რეაგირება**“.

— რას ერჩით, ბატონ ფიფიას გაუმხნევებიხართ, თქვენ კი რატომღაც უკმაყოფილო ჩანხართ!

— ჰო, ეტყობა, გაგვეხუმრა. სამწუხაროდ, მოხდა, პირიქით. რეალურად სოფლის მეურნეობის სამინისტრო მზად არ აღმოჩნდა, მიიღო ამ უწყების გამოჩენილი სპეციალისტისა და ავტორიტეტის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის თამაზ კუნჭულიას მიერ მოწონებული ჩვენი პროგრამა და განეხორციელებინა კონკრეტული ღონისძიებანი. უფრო მეტიც, მთელი 3 თვის განმავლობაში სამინისტროს ხელმძღვანელობაში არ აღმოჩნდა პიროვნება, ვინც პასუხისმგებლობას აიღებდა და ხელს მოაწერდა ჩვენს პროგრამაზე ბატონ კუნჭულიას მიერ მომზადებულ დადებით დასკვნას. ალბათ, მინისტრი და მისი მოადგილეები იმიტომ გაურბოდნენ პასუხისმგებლობას, რომ ეშინოდათ, ამ პროგრამის განხორციელება მთავრობას ხელმომწერისთვის არ დაევალებინა.

— ბატონო ანზორ, მას შემდეგ, რაც სოფლის მეურნეობის სამინისტროდან ასეთი პასუხი მიიღეთ, თითქმის მთელი 3 წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე არაფერი შეცვლილა?

— როგორ არა, ბევრი რამ შეიცვალა, ჩვენი პროგრამა უფრო დახვეწილი, მოცულობითი, მრავალწახნაგოვანი, პრაქტიკულ რეალიზაციასთან მიახლოებული გავხადეთ და სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომის სტატუსით დავაპატენტეთ სათაურით: „საქართველოს ანტიკრიზისული ხუთწლიანი კომპლექსური ეკონომიკური რეფორმების კონცეფცია-პროგრამა“. ამ უნიკალური პროგრამის გამოყენებით, შეგვიძლია, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამმუშავებელ საწარმოებს მომგებიანი ბიზნესისთვის შევუქმნათ იდეალური პირობები, როცა საბრუნავ სახსრებად მოხმარებული იქნება უფასო ემისიური კრედიტები. გადასახადები კი, ნაღდი ფულის ნაცვლად, დაიფარება სახელობითი საკომპენსაციო საგადასახადო თამასუქებით.

— ეს რაც შეეხება პროგრამას, მაგრამ, საინტერესოა, ამ კონცეფციისადმი კოალიციური მთავრობის დამოკიდებულება ნაცებისდროინდელი დარჩა?

— არა, რა თქმა უნდა. ამჟამად პარლამენტის დარგობრივ და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტებში მიმდინარეობის ჩვენი კონცეფცია-პროგრამის განხილვა. თუკი პარლამენტი დაგვეთანხმება და დაიწყება მისი თანდათანობით ამოქმედება, პირველ ეტაპზე განსაზღვრულია 2006 წელს ნაციონალების მიერ გაუქმებული მცირე მეწარმეობის ერთადერთი კანონისა და ამ კანონთან ავტომატურად მიბმული „მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრის“ აღდგენა. ამ ცენტრთან კი არსებობდა მცირე საწარმოთა საინვესტიციო ფონდი, 2005 წელს ჩვენ ვითხოვდით სწორედ ამ საინვესტიციო ფონდისთვის გამოეყოთ უპროცენტო ემისიური კრედიტები, რომლის განკარგვას აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის მიერ დამუშავებული მკაცრი რეგლამენტირებით მოახდენდა „ცენტრის“ საკოორდინაციო საბჭო. 11 წლის შემდეგაც ამას ვითხოვთ.

იმედია, ხელისუფლება ამჟამად მაინც დაეთანხმება კონცეფცია-პროგრამის ავტორებს, გამოიჩენს პოლიტიკურ ნებას და მეწარმეობისკენ გადადგმული რეალური ნაბიჯებით გამოაცოცხლებს ნაცების მიერ განწირული მცირე და საშუალო მეწარმეთა საბიზნესო საქმიანობას. ამის გარანტიას იძლევა ამ ორი დღის წინათ ქვეყნის სამეწარმეო აქტივთან პრემიერ კვირიკაშვილის საქმიანი შეხვედრა, რომელიც უშუალოდ არის დაინტერესებული საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის აღორძინების, ეკონომიკის გაჯანსაღების, ხალხის მასობრივად დასაქმების პრობლემატიკით. შეხვედრაზე წამოჭრილი მწვავე საკითხების გადასაჭრელად დასახული გზების შემდეგ ერთხელ კიდევ გაჩნდა იმედი: ეგებ რამე ეშველოს ამ ჩვენს წყალწაღებულ მცირე და საშუალო მეწარმეობას!



ოთარ ხუციშვილი

◎ იმედისმომცემი ზრდა

შესვი, გააკოს!

ღვინის ექსპორტის ტენდენციები 2016 წლის დასაწყისში

ღვინის ექსპორტი საქართველოსთვის ყოველთვის განსაკუთრებით საყურადღებოა, იმის მიუხედავად, რომ იგი ქვეყნის ჯამური ექსპორტის 10 პროცენტსაც არ შეადგენს და საექსპორტო პროდუქციის ხუთეულშიც არ შედის. მეტიც, ის სოფლის მეურნეობის საექსპორტო პროდუქციაშიც არ არის პირველ ადგილზე და ბოლო წლებია, პოზიციებს თხილს უთმობს.

ღვინისადმი ეს განსაკუთრებული ინტერესი რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული — უწინარესად, ღვინო საქართველოსთვის ტრადიციისა და ისტორიული იდენტობის ნაწილია; გარდა ამისა, ღვინის წარმოებისა და ექსპორტის მასშტაბზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საქართველოს ერთი კუთხის, კახეთის რეგიონის, ეკონომიკური განვითარება და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა.

როგორც ცნობილია, გასული წელი ღვინის ექსპორტისთვის წარმატებული არ ყოფილა, რისი ერთ-ერთი მიზეზიც რუსეთისა და უკრაინის ბაზრებზე შექმნილი მდგომარეობა იყო. ღვინის ეროვნული სააგენტო იუწყება, რომ წლევანდელი წლის დასაწყისში ღვინის ექსპორტი გაიზარდა, კერძოდ, 2016 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოდან მსოფლიოს 21 ქვეყანაში ექსპორტირებულია 4,5 მილიონ ბოთლზე მეტი ღვინო, რაც **56 %-ით აღემატება შარშანდელ ანალოგიურ მონაცემებს.** სულ ექსპორტირებულია 10,75 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, **რაც 27 %-ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს.**

ამასთან, მსოფლიოს 7 ქვეყანაში ექსპორტირებულია 1,4 მილიონი ბოთლი ბრენდი, რაც 165 %-ით აღემატება 2015 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. ექსპორტირებულია 3,4 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი — **მატება, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 137 %-ს აღწევს.**

მთავარ ბაზრად ქართული ღვინისთვის კვლავ რუსეთი და უკრაინა რჩებიან. ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი — 2 559 795, უკრაინა — 651 792, ყაზახეთი — 337 582, პოლონეთი — 322 038 და ჩინეთი — 219 349 ბოთლი.

ექსპორტის მატების კუთხით, აღსანიშნავია რუსეთი — 154 %, უკრაინა — 37 %, პოლონეთი — 46 %, ლიტვა — 26 %, ყირგიზეთი — 70 %, გერმანია — 68 % და სხვა. მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტით მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 20 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა.

ნინო ევგენიძე

◎ კადრები

ორმა გუბერნატორმა თანამდებობა დატოვა

ამის შესახებ ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური ავრცელებს. „საკადრო ცვლილებება ამ ეტაპზე საქართველოს ორ რეგიონში ხორციელდება. თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადებით მთავრობას მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა ნუგზარ ყიფიანმა და შიდა ქართლის გუბერნატორმა ზურაბ რუსიშვილმა მიმართეს. შესაბამისად, მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ორივე განცხადება დაკმაყოფილდა“, — აცხადებენ მთავრობის ადმინისტრაციაში.

მათივე ცნობით, პრემიერ-მინისტრი გაწეული სამსახურისთვის ნუგზარ ყიფიანს და ზურაბ რუსიშვილს მადლობას უხდის. მცხეთა-მთიანეთში სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობას გოჩა ზეიკიძე დაიკავებს, ხოლო - შიდა ქართლში გუბერნატორის მოვალეობას ზურაბ რუსიშვილის მოადგილე შეასრულებს.

ვყიდულობდეთ... გამყიდველის სასარგებლოდ?!

რუსეთის სახელმწიფო, მოგვწონს თუ არა, თავისუფლად პარპაშობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში — ეუფლება ენერგოსისტემის გენერაციისა და დისტრიბუციის თითქმის ყველა საწარმოს, ბუნებრივი აირის და საბანკო ქსელის არაერთ მსხვილ იურიდიულ სუბიექტს.

1992 წლიდან დღემდე „დაუმორჩილებელი“ აფხაზეთი უფასოდ მოიხმარს საქართველოს კუთვნილ ელექტროენერგიას. ეს მაშინ, როცა იმავე 1992 წლიდან ჩვენი ქვეყნის სხვა დანარჩენ რეგიონებს და თბილისსაც კი ტოტალურად არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია (გარკვეულწილად ეს დღესაც გრძელდება ზოგიერთ რეგიონში). 1992-2016 წ.წ. აფხაზეთისთვის ელექტროენერგიის ძირითადი სიმძლავრის მიმწოდებელია ჩვენი სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი 1300-მეგავატიანი შპს „ენგურჰესი“ და გალის რაიონში მდებარე თითქმის 500 მეგავატის სიმძლავრის შპს „ვარდნილჰესი“.

2005-2006 წლებში ენგურჰესის რეაბილიტაციას მოხმარდა ევრობანკიდან ნასესხები 50 მილიონ აშშ დოლარზე მეტი. საქართველოს 2004-2012 წლების ხელისუფლებამ მისი გასტუმრება შპს „ენგურჰესს“ დააკისრა. 2008 წელს დაიწყო „ვარდნილჰესის“ რეაბილიტაცია, რისთვისაც დღემდე ბიუჯეტიდან დაიხარჯა ათობით მილიონი ლარი.

დღემდე აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმი არ თვლის საჭიროდ ელექტროენერგიის მომხმარებელთა გამრიცხველიანებას, ამჟამად აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხმარებული კილოვატი ელექტროენერგია 4 რუსული კაპიკი, ანუ ერთ თეთრზე ნაკლები ღირს.

2008 წლიდან, როცა სეპარატისტებმა აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადეს და იგი რუსეთმა პირველმა აღიარა, საქართველოსგან მიწოდებული ელექტროენერგიის სიმძლავრის უმეტესობას მოიხმარენ იქ განლაგებული რუსეთის სამხედრო დანაყოფები, რომელთა ოდენობა სულ უფრო მატულობს. მათ შორის არის ეშერაში განლაგებული და მოქმედი რუსეთის სამხედრო გასაიდუმლოებული დანიშნულების ე.წ. „ლაბორატორია“. ამიტომაც აფხაზეთმა მნიშვნელოვნად გაზარდა „ენგურჰესის“ ელექტროენერგიის მოხმარება, თუ არ ჩავთვლით „ვარდნილჰესის“ განმიღებულ ელექტროენერგიას. ჰოდა, თუ ასე გაგრძელდა, მოკლე დროში საქართველოს ენერგოფლაგმანი „ენგურჰესი“ მოემსახურება მხოლოდ ე.წ. „დამოუკიდებელ“ აფხაზეთს. და რაც ყველაზე ცუდია, შპს „ენგურჰესი“ მოკლე დროში შეიძლება, გამოცხადდეს ბანკროტად და გასხვისდეს, მყიდველი, ცხადია, დიდი ვარაუდით, ისევ რუსეთი იქნება.

საკუთარი ღირსება და ინტერესები თავად უნდა დავიცვათ!

ახლახან მედიაში გამოჩნდა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის კ. კალაძის განცხადება, რომლის მიხედვით საქართველო რუსეთისგან შეისყიდის სულ მცირე, რამდენიმე ათეული ათასი დოლარის ელექტროენერგიას, რათა აფხაზეთს დაუფაროს ელექტროენერგიის „დეფიციტი“, რაც „ენგურჰესის“ წყლის რესურსების კრიტიკული სიმცირითაა გამოწვეული.

საქართველოს სახელმწიფო არ აღიარებს აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და უფასოდ ამარაგებს ელექტროენერგიით, საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთს თვლის თავის განუყოფელ ნაწილად და აწვდის მას უფასო ელექტროენერგიას და იგივე ხელისუფლება თავისი ყოველივე სხვა დანარჩენი რეგიონის მომხმარებელს ავალდებულებს, სრულად და დროულად დაფაროს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური.

ჩვენმა ხელისუფლებამ იცის, რომ აფხაზეთისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის უდიდეს ნაწილს უფასოდ მოიხმარს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამპყრობი რუსეთის ჯარი და აფხაზეთს, ანუ რუსეთს, ამარაგებს... უფასო ელექტროენერგიით, რასაც იგი ამ ბოლო დროს იმავე რუსეთისგან ყიდულობს (?!).

ჩვენი ქვეყნის საზარალო ზემოთ მოყვანილ ფაქტებს ემატება ისიც, რომ აფხაზეთის მობილური კავშირის ორი იურიდიული სუბიექტი „აკვაფონი“ და „ამობაილი“ უპრობლემოდ სარგებლობს საქართველოს მობილური კავშირის საერთაშორისო კოდით. ე. შევარდნაძის და მ. სააკაშვილის დროის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (ყოფილი და ამჟამინდელი თავმჯდომარე — ვ. აბაშიძე და ყოფილი თავმჯდომარე — დ. ქიტოშვილი) ამ ორგანიზაციებს ოფიციალურად მიანიჭა ეს უფლება. ამით ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ ვითომდაც „აიძულა“ სეპარატისტები, ეღიარებინათ, რომ აფხაზეთი საქართველოს სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია. სინამდვილეში კი, მას აფხაზეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და საერთაშორისო აღიარების შემდეგ ჩვენი ხელისუფლების აღნიშნული ნამოქმედარი აღმოჩნდა ჩვენთვისვე არა მარტო საზიანო, არამედ ყოველმხრივ დაუშვებელიც, ისევე, როგორც ის, რაც უკავშირდება აფხაზეთის ენერგომომარაგებას.

ზემოთ მოყვანილი უდავო ფაქტები პირდაპირ ადასტურებენ, რომ საქართველოს 1992-2016 წ.წ. ხელისუფლება აფხაზეთთან დაკავშირებით ჩვენი სახელმწიფოს საზიანოდ უსაფუძვლო ე.წ. ლოზუნგებით (აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია) აშკარად იცავს რუსეთის სახელმწიფოს ინტერესებს.

შექმნილი მდგომარეობიდან საქართველოს აქვს თუ არა გამოსავალი? ჩვენი შეფასებით აქვს. უნდა შეჩერდეს საქართველოს მიერ „ვარდნილჰესის“ რეაბილიტაცია. „ენგურჰესთან“ დაკავშირებით ხელისუფლებამ სავალდებულოდ უნდა გამონახოს შესაბამისი სახსრები, რათა დროულად შეუდგეს ჰესის ენერგომართვის ახალი შენობის მშენებლობას. ის განთავსდება „ენგურჰესის“ არსებული წყალსაცავის მახლობლად. შენობაში დამონტაჟდება ახალი ენერგოაგრეგატები, რომელთა სიმძლავრე იქნება მნიშვნელოვნად მეტი, ვიდრე ამჟამად „ენგურჰესიდან“ ღებულობს ჩვენი სახელმწიფო ელექტროენერგიას. ენერგოაგრეგატებიდან წყალი წავა ენგურის ძველი კალაპოტისკენ და ანაკლიის გავლით შეუერთდება შავ ზღვას.

აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფოსთვის კი „ენგურჰესიდან“ ელექტროენერგიის მიწოდება განახლდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სეპარატისტები საქართველოსთან, როგორც მისი განუყოფელი რეგიონი, სახელშეკრულებო პირობების საფუძველზე „ენგურჰესიდან“ მიღებულ ელექტროენერგიაში დროულად გადაიხდის მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს საქართველოში მოქმედი ენერგოტარიფის მიხედვით. „აკვაფონისა“ და „ამობაილის“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ უნდა გააუქმოს მათთვის გაცემული მობილური კავშირის კოდები, რის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მობილური კავშირის საერთაშორისო უწყებას. ეს გაგრძელდება მანამ, სანამ საქართველოს იურისდიქცია სამართლიანად არ აღდგება აფხაზეთში.

საკამათო ამ საქმეში არაფერია და თუ გამოვრიცხავთ, უწინარეს ყოვლისა, რუსეთს, საქართველოს მხარს დაუჭერს მთელი მსოფლიო. შექმნილ მდგომარეობაში იგი ვერ შეძლებს, გამონახოს რაიმე პოლიტიკური ან ეკონომიკური საფუძველი, რათა შეეწინააღმდეგოს საქართველოს ხელისუფლების ამგვარ გადაწყვეტილებას.

არ არის გამოსარიცხი, რომ რუსეთმა საქართველოს უპასუხოს სხვადასხვა სახის პროვოკაციებით ან დივერსიებით, მაგრამ არ უნდა შევშინდეთ, უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი ისტორიული და მართლმადიდებლობით განპირობებული ღირსება.

თენგიზ ჩხიკვაძე,
ვადიმ დგებაშაძე,
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“

◎ „უმასპინძლე საქართველოში“...

ტურიზმის ზრდა და სახელმწიფო პროგრამები

საქართველოს მთავრობამ ტურიზმის ხელშემწყობი ახალი ინიციატივის შესახებ გამოაცხადა. „უმასპინძლე საქართველოში“, — ასე ჰქვია პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონებში სასტუმროების ინფრასტრუქტურის განვითარებას. პარალელურად გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, თებერვალში ტურისტების რაოდენობა 19 პროცენტით გაიზარდა.

საქართველოს მთავრობა სხვადასხვა აქტივობას მიმართავს ქვეყნის ტურისტული პოტენციალის გამოსაყენებლად: უცხოურ მედიასაშუალებებში მიმდინარეობს სარეკლამო კამპანია, გაიხსნა ახალი კურორტები და იწყება ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისკენ მიმართული პროგრამა „უმასპინძლე საქართველოში“. პროგრამის ფარგლებში, დაინტერესებულ მეწარმეს შეუძლია სახელმწიფოს თანადაფინანსებით, თბილისისა და ბათუმის გარდა, საქართველოს ნებისმიერ რეგიონში ააშენოს ახალი სასტუმრო, გააფართოვოს და კვლავ აღჭურვოს არსებული ინფრასტრუქტურა, გააფორმოს „ფრენჩაიზინგის“ ხელშეკრულება სასტუმროს საერთაშორისო ოპერატორთან და შემოიყვანოს უცხოური ბრენდი ქართულ ბაზარზე.

სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტის პრეზენტაციაზე, რომელიც პირველ მარტს გაიმართა, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ „უმასპინძლე საქართველოში“ პირდაპირ კავშირშია ტურიზმის განვითარებასთან:

„ჩვენ გვაქვს ვიზიტორების მზარდი რაოდენობა. უკანასკნელ რამდენიმე თვეში განსაკუთრებით პოზიტიური დინამიკა შეინიშნება და ინფრასტრუქტურამ უნდა აუწყოს ფეხი ამ დინამიკას. აღნიშნული პროგრამის მიხედვით, რეგიონებში ბიზნესწრეების წარმომადგენლებს, ჩვენს მოსახლეობას ექნება, საშუალება, ახალი სასტუმრო კომპლექსები დააფინანსონ სახელმწიფოსთან ერთად. სახელმწიფო მოახდენს ამ პროექტების თანადაფინანსებას“.

* * *

პროგრამის პრეზენტაციაზე პრემიერ-მინისტრის ამ განცხადებას მთავრობის სხვა წევრებთან ერთად უსმენდა ინფრასტრუქტურის მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი. მან 4 წლის წინათ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლამდე, ტურიზმის მზარდი დინამიკა ასე შეაფასა:

„ნუ გგონიათ, რომ ტურისტების განუსაზღვრელი რაოდენობა ქვეყნისთვის სასარგებლოა. რაღაცა დონე არსებობს, იმის იქით საზიანოა და დამანგრეველი“.

ნოდარ ჯავახიშვილის მსგავსად, ტურიზმს არც „ქართული ოცნების“ სხვა ლიდერები სწყალობდნენ, მაგრამ ბოლო დროს დამოკიდებულება შეიცვალა, რადგან ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები ეროვნული ვალუტის გაუფასურების შემაკავებელ თითქმის ერთადერთ ბერკეტად იქცა. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები თავს იწონებენ ტურიზმის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამების წამოწყებით და გაფაციცებით ითვლიან უცხოელ ვიზიტორებს თუ ტურისტებს, მიმდინარე წლის დაწყისის მზარდი სტატისტიკა კი მინისტრებს ოპტიმისტური განცხადებების საშუალებას აძლევს. მათ შორის არის ეკონომიკის მინისტრი და ვიცე-პრემიერი დიმიტრი ქუმსიშვილი. 2 მარტს გამართულ ბრიფინგზე ქუმსიშვილმა განაცხადა:

„თებერვლის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საქართველოს, წინა წელთან შედარებით, თითქმის 24 პროცენტით მეტი საერთაშორისო მოგზაური ეწვია. მათ შორის, გაიზარდა იმ უცხოელი მოგზაურების, ანუ ტურისტების, რიცხვი, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაყვეს საქართველოში. ეს მონაცემი 19 %-ით არის გაზრდილი, წინა წლის თებერვალთან შედარებით. ორი თვის მონაცემებით, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნებიდან. მათგან ზრდის კუთხით გამოირჩევა იტალია (+ 29 %), საფრანგეთი (+ 29 %), დიდი ბრიტანეთი (+ 14%), პოლონეთი (+ 12 %) და გერმანია (+ 7 %)“.

მთავრობის წარმომადგენელთა ამ განცხადებების მიუხედავად, ტურიზმის სფეროს სპეციალისტები კრიტიკულად აფასებენ საქართველოს ტურისტულ სტრატეგიას. ტურისტული კომპანია „გუდაური ჰელისკინგის“ დამფუძნებელი და ამ სფეროს ექსპერტი ვატო ასათაშვილი აცხადებს, რომ ტურიზმის პოლიტიკა თვითდინებით მიდის:

„ვინაიდან განვითარებადი ქვეყანა ვართ, სულ მცირე, გვჭირდება ორნიშნულიანი მაჩვენებელი, რათა დაახლოებით 10 წლის განმავლობაში მაინც მივაღწიოთ აღმოსავლეთ ევროპის ტურიზმის განვითარების დონეს, ანუ ერთნიშნულიანი მაჩვენებლებით ჩვენ კონკურენტუნარიანი ქვეყანა რეგიონშიც კი ვერ გავხდებით, არათუ აღმოსავლეთ ევროპაში ანდა მთლიანად ევროპის დონეზე“...

კახა მჭედლიძე

◎ „დამოუკიდებელთა“ მორიგი პროვოკაცია

თქვენი პროტესტი და პოზიცია თქვენთვის შეინახეთო!

საქართველოს ელჩის პროტესტის საპასუხოდ აფხაზებმა თავიანთი დროშა ბუდაპეშტის საერთაშორისო გამოფენის შესასვლელში გამოფინეს

უნგრეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის პროტესტის საპასუხოდ აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ აფხაზური დროშა ბუდაპეშტში საერთაშორისო ტურისტული გამოფენა „Travel Exhibition“-ის პავილიონის შესასვლელში გამოფინა.

„აქცენტი“ უკვე იუწყებოდა, რომ ოკუპირებული აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ 4-6 მარტს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში მიმდინარე საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში „Travel Exhibition“ მიიღო მონაწილეობა. აფხაზური მედიის ცნობით, გამოფენას, რომელშიც 47 ქვეყნის 412 ტურისტული კომპანია მონაწილეობდა, 40 000-მდე სტუმარი ეწვია. ყველაზე დიდი პავილიონები თურქეთს, ეთიოპიას, სამხრეთ აფრიკას, სენეგალს, ჩინეთს, ბრაზილიას, სლოვენიას, საბერძნეთს, ტაილანდს, ინდონეზიას, გერმანიას და სხვა ქვეყნებს ჰქონდათ. ამასთან, ჩინეთი და ბრაზილია ღონისძიებაზე საპატიო სტუმრის სტატუსით იყვნენ წარმოდგენილები.

თუმცა ღონისძიების მესამე დღეს უნგრეთში საქართველოს ელჩმა ორგანიზატორების წინაშე პროტესტი გამოხატა გამოფენაში არაღიარებული სახელმწიფოს მონაწილეობის გამო.

„ეს პირველი საერთაშორისო ღონისძიება არ არის, რომელზეც აფხაზეთს სავაჭრო-სამრეწველო პალატა წარმოადგენს, — განაცხადა ამ პალატის ხელმძღვანელმა გენადი გაგულიამ, — ჩვენ მონაწილეობა მიგვიღია სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებში თურქეთში, გერმანიაში, იტალიაში, სერბეთში, ყირგიზეთში, საბერძნეთში და სხვა ქვეყნებში და სრულიად გასაგებია, რომ ქართველებს ეს არ მოსწონთ. საქართველოს ელჩების მსგავსი ქმედებები ჩვენთვის სიახლეს არ არის — მსგავსი რამ სხვაგანაც მომხდარა. იყო ისეთი შემთხვევებიც, რომლებიც დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელები არა მარტო ემუქრებოდნენ ღონისძიებების ორგანიზატორებს, არამედ ბოდიშის მოხდასაც მოითხოვდნენ მათგან. აფხაზეთის რესპუბლიკის ხალხმა მოახდინა თვითგამორკვევის უფლების რეალიზება, გაიმარჯვა რა საქართველოსთან 1992-93 წლების ომში, ამდენად, ვთვლით, რომ ჩვენი მონაწილეობა „Travel Exhibition“-ში აბსოლუტურად კანონიერია და საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, არ მოითხოვს რომელიმე მესამე ქვეყნის თანხმობას. საქართველოს ელჩებს არ შეუძლიათ, ხელი შეუშალონ აფხაზეთს მისი სუვერენული უფლებების რეალიზებაში, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულებებშია გამყარებული. შესაბამისად, ქართველი ელჩის პროტესტის საპასუხოდ ჩვენმა თანამშრომლებმა პირდაპირ პავილიონის შესასვლელშივე გამოფინეს აფხაზეთის სახელმწიფო დროშა, რომელიც მანამდე, გამოფენის დამფუძნებელთა რეგლამენტის შესაბამისად, ექსპოზიციაში ეკიდა. ამგვარად ჩვენ კიდევ ერთხელ გავუსვით ხაზი ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობას“, — განაცხადა ამასთან დაკავშირებით გენადი გაგულიამ.

სავიზო რეჟიმი შეიძლება, რუსეთთანაც გაუქმდეს

რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე არ გამორიცხავს, რომ მიმდინარე წელს რუსეთთან საავიზო რეჟიმი მოიხსნას.

როგორც აბაშიძემ ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დაწყებამდე განუცხადა, 16 მარტს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან გრიგორი კარასინთან პრაღაში მორიგი შეხვედრა შედგება, სადაც სხვა საკითხებთან ერთად სწორედ ვიზების გამარტივებასთან დაკავშირებული საკითხი განიხილება.

მისივე თქმით, რუსეთ-საქართველოს პირველი პირების შეხვედრასთან დაკავშირებით რაიმე სიახლე არ არის.

„კარასინთან გვექნება საუბარი ვიზების გამარტივებასთან დაკავშირებით, გავივლით, ვნახავთ, როგორ მუშაობს საავიზო რეჟიმი, არის თუ არა პრობლემები და თუ ჩვენი მხრიდან რაიმე არის გასაკეთებელი ამ თვალსაზრისით, შევეცდებით, რომ მოვაგვაროთ. ჩვენ გვაქვს ჩვენი დღის წესრიგი, იქ ვსაუბრობთ ჩვენს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე, სატრანსპორტო საკითხებზე, ვაგვარებთ გარკვეულ ჰუმანიტარულ პრობლემებს. ამ თვალსაზრისითაც, იმედი მაქვს, რომ ჩვენ რაღაც შედეგით ჩამოვალთ,“ — განაცხადა აბაშიძემ.

◎ ვინ როგორ ფიქრობს?

როდის შეძლებს სოხუმი და ცხინვალი ევროკავშირთან თავისუფალ ვაჭრობას?!

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (DCFTA) კარგი საფუძველია იმისთვის, რომ მოლდოვა გაერთიანდეს, დნესტრისპირეთის მხრიდან ამ შეთანხმებაში მონაწილეობის არმიღება კი ამ რეგიონს სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს შეუქმნის, - ამის შესახებ ყოფილმა ევროკომისარმა სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულემ განაცხადა. ევროკავშირის წარმომადგენელთა თქმით, იგივე შეიძლება ითქვას საქართველოზეც, რომელსაც სურს, ევროკავშირისგან მიღებული ეკონომიკური სარგებელი ოკუპირებულ ტერიტორიებზეც გავრცელდეს.

„მნიშვნელოვანია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას, ჩვენს მოქალაქეებს მიეცეთ საქართველოს ევროპული ინტეგრაციის სიკეთეებით სარგებლობის შესაძლებლობა. ყველამ უნდა დაინახოს და ირწმუნოს, რომ საქართველო იყო, არის და იქნება ევროპული სივრცის განუყოფელი შემადგენელი“, — განაცხადა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა.

როგორც 2014 წელს საქართველოს მიერ ევროკავშირთან გაფორმებული ასოციირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ტექსტშია აღნიშნული, ამ შეთანხმებების მოქმედება ვრცელდება ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, თუმცა მხოლოდ მას შემდეგ, რაც „საქართველოს მიერ მის მთელს ტერიტორიაზე უზრუნველყოფილი იქნება წინამდებარე შეთანხმების სრული იმპლემენტაცია და შესრულება“. ამ ეტაპზე კი საქართველოს მთავრობა ამას ოკუპირებულ რეგიონებზე კონტროლის არარსებობის გამო ვერ ახერხებს.

„იმისათვის რომ DCFTA-მ აფხაზეთსა და ე.წ სამხრეთ ოსეთშიც იმოქმედოს, საჭიროა შეთანხმება დე ფაქტო ხელისუფლებებთან, იმისათვის, რომ მათ დაუშვან საქართველოს სამსახურები საჭირო კონტროლის განსახორციელებლად“, — განმარტავს ექსპერტი კახა გოგოლაშვილი.

რა არის DCFTA?

DCFTA საქართველოს მოსახლეობას აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე ყოველგვარი გადასახადის გარეშე გაიტანოს, თუ ის სტანდარტებს დააკმაყოფილებს.

შეთანხმება საშუალებას იძლევა, საქართველოდან ევროკავშირში მომსახურების ექსპორტიც გამარტივებული წესით განხორციელდეს. კერძოდ, ქართულ კომპანიებს შესაძლებლობა აქვთ, დააფუძნონ ფილიალები ევროკავშირში და მათი საშუალებით მიაწოდონ მომსახურება ევროპელ მომხმარებელს.

შეთანხმება ასევე მოიცავს პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების მექანიზმს, რითაც გაადვილდება ქართველი სპეციალისტების მიერ ევროკავშირის ქვეყნებში მომსახურების გაწევა.

ექსპერტების განმარტებით, DCFTA-ს ამოქმედება საქართველოში ნაწარმოები პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, საწარმოების გახსნას, სამუშაო ადგილების რაოდენობის გაზრდას და, საერთო ჯამში, ეკონომიკურ პროგრესს გამოიწვევს.

ოფიციალურად ამით სარგებლის მიღება შეუძლია აფხაზეთს და ოს ხალხსაც, თუმცა მხოლოდ მას შემდეგ, რაც რაიმე მექანიზმით საქართველო ამ ორ რეგიონზე შეთანხმებით გათვალისწინებულ კონტროლს გაავრცელებს.

აფხაზეთში ძირითადად თხილი მოჰყავთ, ბევრისთვის თხილის წარმოება შემოსავლების მთავარი წყაროა. საქართველოში თხილის ყველაზე დიდი მოსავალი სამეგრელოს შემდეგ სწორედ აფხაზეთში მოდის. აფხაზებს შესაძლებლობა აქვთ, თხილი რუსეთში გაიტანონ ექსპორტზე, თუმცა ეს, კახა გოგოლაშვილის თქმით, საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევით ხდება. ამას გარდა, აფხაზ გადამყიდველებს თხილის რუსეთში გადატანის სანაცვლოდ იმპორტის გადასახადის გადახდა უწევთ, რასაც თან ერთვის ექსპორტის გადასახადიც.

„აფხაზებს სხვა ალტერნატივა არ გააჩნიათ, ამიტომაც რუსეთში დაბალ ფასში ყიდიან თხილს. კონკურენცია არ არსებობს, ერთადერთი მყიდველი არის რუსეთი, რომელიც კარნახობს ფასს. იმ შემთხვევაში, თუ აფხაზები დათანხმდებოდნენ დანარჩენ საქართველოსთან თანამშრომლობას და მოხერხდებოდა ამ ვაჭრობის ლეგალიზაცია, მათ ექნებოდათ ალტერნატიული შესაძლებლობები, უფრო მაღალ ფასად გაეყიდათ საკუთარი პროდუქცია, ვინაიდან რუსულ ბაზარს კონკურენტი გაუჩნდებოდა“, — განმარტა გოგოლაშვილმა.

რაც შეეხება ე.წ სამხრეთ ოსეთს, იქაურ მოსახლეობას ძირითადად ბოსტნეული მოჰყავს, თუმცა არა იმ რაოდენობით, რომ ექსპორტზე მისი მასშტაბურად გატანა მოხდეს.

„მომავლის ცხინვალის“ კავშირის თავმჯდომარის მარინა მემშვილდიშვილის თქმით, „ცხინვალში არაფერს აწარმოებენ“.

„მთელი ბაღები და ვენახები გადაწვეს და გაანადგურეს. ნახევარი ცხინვალი ახლა მანქანების ვაჭრობით არის დაკავებული, მეორე ნახევარი კი რუსეთშია წასული. მოსახლეობა იქ ბევრი აღარ არის“, — ამბობს მემშვილდიშვილი.

თუმცა ეს რეგიონი ცნობილია მინერალური წყლით — „ბაგიათით“, რომლის პოტენციალზეც ოსური გამოცემები წერენ.

როგორ შეიძლება, მოხვდეს აფხაზეთსა და ე.წ სამხრეთ ოსეთში ნაწარმოები პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე?

კახა გოგოლაშვილის თქმით, ამისათვის საჭიროა ოკუპირებული რეგიონების ამჟამინდელი ხელმძღვანელობის ნება და საქართველოს მოქმედება:

„უნდა იყოს საქართველოს და მათ შორის გარკვეული გარიგება. უნდა მოხდეს აღრიცხვა იმისა, რომ, მაგალითად, თხილი ნაწარმოებია საქართველოში, რათა მასზე გაიცეს წარმოშობის სერტიფიკატი. ეს ტექნიკურად შესაძლებელია, მაგრამ თუ არ იქნება უზრუნველყოფილი წვდომა იმ ტერიტორიაზე, სადაც ეს თხილი გროვდება, როგორ გაიგებს ევროკავშირი, რომ ეს თხილი ნაწარმოებია აფხაზეთში და არა სადმე სხვაგან?! ამას, რა თქმა უნდა, ევროკავშირი არ დაუშვებს. ამიტომაც უნდა იყოს მინიმალური კონტროლის საშუალებები იმისათვის, რომ ზუტად დაფიქსირდეს, საიდან არის თხილი“.

თუმცა, მისივე თქმით, რთულია სოხუმისა და ცხინვალის ხელისუფლებებთან შეთანხმების მიღწევა, რათა DCFTA-ით

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE
REAP Restoring Efficiency to Agriculture Production

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲘᲑᲣᲢᲘ: ᲗᲣ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲯᲔᲠᲔᲑᲡ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲗᲔᲗᲠᲘᲡ ᲓᲐᲣᲮᲐᲠᲯᲐᲕᲐᲓ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲑᲡ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲑᲗ!

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ და სამაჩაბლო ოკუპირებულია იმიტომ, რომ რუსეთის სამხედრო მანქანისგან თავდასაცავად ქართველებს ძალა არ გვყოო!

ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართველები ცუდად ცხოვრობენ...

ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ...

კონტროლირებად ტერიტორიაზე რატომ ვერ ცხოვრობენ საქართველოს მოქალაქეები ნორმალურად?

რატომ არის, რომ საბჭოთა კავშირის დროს პოლიტიკურ და ეროვნულ მონობაში მყოფი ქართველები იყვნენ მდიდრები და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, თავისუფლებაში მყოფნი გაღარიბდნენ და სულ უფრო ღარიბდებიან?!

გაუგებარია შინაურისთვის და მოყვრისთვის.

ყველაზე ლიბერალური აფორიზმია : „თუ ჭკვიანი ხარ, რატომ ხარ ღარიბი?“

ქართველების უჭკუობა ისტორიულად არ დასტურდება.

ქართველები დაუყონებლივ იწყებდნენ გამდიდრებას , როგორც კი ოდნავ მშვიდობა დადგებოდა ქვეყანაში.

ბოლოს ეს იყო კომუნისტების მმართველობის ბოლო პერიოდში.

თუ ქართველებმა მოახერხეს საბჭოთა სისტემასთან ადაპტაცია, რატომ ვერ შეძლეს ეს კაპიტალიზმის დროს? რატომ შეძლეს ეს „იატაკქვეშა ცეხების“ მეშვეობით და რატომ ვერ ახერხებენ ამას თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში?

იქნებ ეხლა დაკარგა ჭკუა ერმა?

ჭკუა არ დაკარგა, მაგრამ გონება აემღვრა...

ორიენტაცია დაკარგა.

ეროვნულ სახელმწიფოში ხელისუფლება „კოლექტიური ილიას“ როლს უნდა თამაშობდეს – ერთდროულად უნდა ასწავლიდეს და მწყემსავდეს ერს!

ეროვნულ სახელმწიფოში ხელისუფლება „კოლექტიური ილიას“ როლს უნდა თამაშობდეს – ერთდროულად უნდა ასწავლიდეს და მწყემსავდეს ერს!

რეალურად სულ საპირისპირო ხდება.

ხელისუფლება უნდა ახალისებდეს გამდიდრებას და შეჯიბრი უნდა იყოს თუ ვინ უფრო მეტად მდიდრდება და ამის ნაცვლად კონკურსი აქვს გამოცხადებული თუ ვინ უფრო ღარიბია!

სიღარიბე საქართველოში, თუ ის ჯანმრთელობისა და ასაკის მიზეზით არ იყო გამოწვეული, ყოველთვის სამარცხვინოდ ითვლებოდა. სამარცხვინო იყო არა მარტო ღარიბისთვის, არამედ, გარემომცველი საზოგადოებისთვისაც (სოფლისთვის, უბნისთვის, გვარისთვის...).

საქართველოს მოსახლეობის 60 პროცენტზე მეტს სხვადასხვა ხანგრძლივობით მოუწია ისეთ დროს ცხოვრება, როდესაც არ იყვნენ მათხოვრები (განსაკუთრებით ბავშვები და ჩვილბავშვიანი ქალები). ამ ადამიანებისთვის თავისუფლებისა და მონობის ფასეულობები ემპირიულ დონეზე ერთმანეთშია აღრეული.

ახალგაზრდა ქართველებისთვის დამოუკიდებელი საქართველო მოცემულობაა, სადაც დაბადებით ვერავითარ უპირატესობას ვერ იღებს მოქალაქე. უმრავლესობისთვის, რომელთაც აქაური ღარიბი ცხოვრება არ აწყობს და უცხოეთში უნდა წასვლა, საქართველოს მოქალაქეობა და პასპორტი ხელის შემშლელი ფაქტორი უფროა – ბევრი ცდილობს, შვილი უცხოეთში – დაბადებით სხვა ქვეყნის მოქალაქედ გააჩინოს!

მართალია, არაა გამორიცხული, რომ ერთი ორი ქართველი შეიძლება, გამდიდრდეს (და ასეც ხდება), მაგრამ მისი ბედნიერება სრულფასოვანი ვერ იქნება.

ქართველების ბედნიერება ერთად გამდიდრებაშია!

აქ შეიძლება ვიღაცას მეტი და ვიღაცას ნაკლები ჰქონდეს.

ეს შესაძლებელია საქართველოს გამდიდრებით.

ამისთვის საჭიროა, ყველა შანსი გამოვიყენოთ.

მაგალითად, გასათვალისწინებელია, რომ მომჭირნეობა, რომელიც ინოვაციებსა და მეცნიერულ მიდგომებზეა დამყარებული, აგრეთვე შემოსავლის ზრდის ტოლფასია.

შესაძლებლობების კარგად დასანახად აქ ერთ რჩევას მივცემ ხელისუფლებას, რომელიც თუ მას დაიჯერებს და განახორციელებს, მაშინ თეთრის დაუხარჯავად საქართველო მიიღებს ყოველწლიურად, ვიდრე დღე და ღამე, ზამთარი და ზაფხული იარსებებს, ათეულ მილიონობით ეკონომიას ხარჯებში (რაც სხვანაირად, როგორც ითქვა – შემოსავალის ზრდის ტოლფასია).

საკითხი ეხება ე.წ. ზაფხულის დროზე გადასვლას – Daylight Saving Time (DST). გაზაფხულზე დროის ერთი საათით წინ გადაწევა სტანდარტული დროიდან და შემდეგ შემოდგომაზე კვლავ სტანდარტულ დროზე დაბრუნება.

ზაფხულის დროზე გადასვლას რა დადებითი შედეგები აქვს?

1. საღამო უფრო ნათელია. ბუნებრივი სინათლის გამოყენების ხანგრძლივობა საღამოს იზრდება.

აქედან გამომდინარე,

2. მას აქვს პირდაპირი ეკონომიკური შედეგი – ორი საათის განმავლობაში განათებაზე დასახარჯი ელექტროენერგიის ეკონომიის სახით.

3. მცირდება ავტოსაგზაო შემთხვევათა რიცხვი.

4. გავლენას ახდენს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტურიზმის სფეროსთვის. „გვიან“ დაბნელება ახანგრძლივებს მათ მიერ მოხმარებისა და ფულის ხარჯვის ხანგრძლივობას.

ყველა ამ მოსაზრების საწინააღმდეგო მოსაზრებებიც არსებობს, თუმცა მათი არგუმენტაცია ჯერ არ არის იმ დამაჯერებლობის, რომელიც უარს ათქმევინებდა ამ ღონისძიების გატარებაზე 70-ზე მეტ ქვეყანას.

აღსანიშნავია, რომ ზაფხულის დროზე გადასვლის სისტემას იყენებს ყველა განვითარებული ქვეყანა. 2016 წელს 78 ქვეყანა გამოიყენებს ამ სისტემას. მათ შორის ევროპის 50 ქვეყანა. (http://www.timeanddate.com/time/dst/2016.html). აშშ, გერმანია, კანადა და სხვა განვითარებული ქვეყნები ასი წელზე მეტია, ამ სისტემას იყენებენ. ეკონომიკური სარგებელი აქ არ იწრიტება – იგი ყოველწლიურად განმეორებით მიიღება.

ამ სისტემის გამოყენება დაკავშირებულია არა მარტო ეკონომიკურ სარგებელთან, არამედ იმ შესაძლებლობასთან, რასაც წარმოშობს ქვეყნის მდებარეობა. ეკვადორიდან ის დაშორება, სადაც საქართველო მდებარეობს (ჩრდილოეთის განედი 41.1-დან 43.6-მდე). აქ დღის ხანგრძლივობაში განსხვავება ზამთარსა და ზაფხულს შორის 4-5 საათია, რაც იძლევა ერთი საათით მანიპულირების საშუალებას ისე, რომ მან არ მოახდინოს რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა ადამიანის სასიცოცხლო ბიოლოგიურ ციკლზე, მაშინ როდესაც მას შეუძლია, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკურ ციკლსა და ეკონომიკურ ცხოვრებაზე.

საქართველოში 1941 წლიდან პერიოდულად ხდებოდა ზაფხულის დროზე გადასვლა, პერიოდულად ის უქმდებოდა. 37 წელიწადი ეს სისტემა არსებობდა.

აქვს ამ საკითხს ერთი – ეროვნული ერთიანობის წრთობის ამოცანაც.

ერთი საათით ადრე ადგომაში საქართველოსთვის ერთიანდება ყველა – მდიდრებიც და ღარიბებიც და ამ ერთიანობას აქვს მოცემულ შემთხვევაში დეკრეტული ხასიათი, მაგრამ მასში დევს ასეთი ერთიანობის წამახალისებელი გამარჯვება – გამოხატული მატერიალური მომენტით – მილიონობით ეკონომია და, შესაბამისად, ქართველების გამდიდრება!

2016 წლისთვის ამ საკითხის გადაწყვეტა არ არის გვიან. შეიძლება ზაფხულის დროზე გადასვლა განხორციელდეს მარტის ბოლოს, ან აპრილის დასაწყისში, ვიდრე ოქტომბრის ბოლომდე, ან ნოემბრის დასაწყისამდე.

საკითხზე პასუხისმგებელი უწყებაა, ანუ დროს სტანდარტებს საქართველოში განაგებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და კონკრეტულად მის დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო“.

ნუ გავფლანგავთ დროს და ნუ დავკარგავთ მილიონებს!

იქაურმა მცხოვრებლებმაც ისარგებლონ.

„ძალიან რთულია რამის გაკეთება, ვინაიდან აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში არის პოლიტიკური განწყობა, საქართველოსთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდეთ. ეს პოლიტიკური საკითხია. საქართველოს მთავრობამ, მაგალითად, უენევაში ჩაატარა შეხვედრა, რომელზეც სპეციალურად განხილულ იქნა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გამოყენება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთისთვის, მაგრამ ეს მათ მიიღეს უბრალოდ ინფორმაციად, ყოველგვარი პერსპექტივის გარეშე. მიუხედავად ამისა, საჭიროა მცდელობების გაგრძელება. ჩვენ გვინდა, მიმზიდველები გავხდეთ აფხაზებისთვის და ე.წ. ოსეთისთვის. დანარჩენმა საქართველომ უნდა გამოიყენოს DCFTA ეფექტურად იმისთვის, რომ შემდეგ სხვას დავუმტკიცოთ, რომ ეს მათთვისაც მომგებიანი იქნებოდა“, – ამბობს კახა გოგოლაშვილი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲜ

„ჩვენი სურვილი და მიზანია, ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობამაც ისევე ისარგებლოს ამ შეთანხმებით, როგორც საქართველოს დანარჩენმა მოსახლეობამ. ამ მიზნით, სხვადასხვა არაფორმალური საკომუნიკაციო არხების საშუალებით მიმდინარეობს ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის ინფორმირება ასოციირების შესახებ შეთანხმებისა და DCFTA-ის შინაარსის, მათგან გამომდინარე სარგებლის შესახებ“, – განაცხადა ეკონომიკის სამინისტროს საგარეო ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მარიამ გაბუნიამ.

* * *

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ, რას ფიქრობს თავად ამ რეგიონების მოსახლეობა ამ საკითხთან დაკავშირებით და რა კუთხით შეუძლიათ მათ საქართველოს ევროინტეგრაციის სათავისოდ გამოყენება.

როგორც აფხაზეთში მცხოვრები კამი აჯინჯალი ამბობს, ადგილობრივები ინფორმირებულები არიან საქართველოს ევროპულ კურსთან დაკავშირებით და ამას მიესალმებიან, თუმცა ამას იქით საქმე არ მიდის:

„რას ფიქრობენ პოლიტიკოსები, ვერ გეტყვით, ხალხი კი ამბობს, ყოჩაღ, საქართველო, თუ რაიმე კარგი ხდება. თუმცა ამის იქით მათი საუბარი არ მიდის, ვინაიდან არ აქვთ ინტერესი. ამბობენ, მთავარია, თავიანთი საქმე ისე აკეთონ, ჩვენ არ შეგვიშალონ ხელიო“.

„ბევრი ინტერესდება, რა დამოკიდებულება აქვთ ოსებს საქართველოს ევროინტეგრაციისადმი და იმის მიმართ, რაც საქართველოში ხდება. გულახდილად გეტყვით: ეს ამ ეტაპზე ცოტას თუ აინტერესებს. სამხრეთ ოსური საზოგადოება და სახელმწიფო ახლა სხვა პრობლემების მოგვარებითაა დაკავებული, ჩვენ სხვა პრიორიტეტები გვაქვს. ჩვენ საქართველოს ევროპულმა და ევროატლანტიკურმა ინტეგრაციამ მხოლოდ ომი, სიკვდილი და ტკივილი მოგვიტანა“, – წერს ოსი ექსპერტი, ახალგორის დე ფაქტო ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი ალან ჯუსოევი www.accent.ge-სთვის გამოგზავნილ წერილში.

◎ ᲙᲐᲙᲐᲚ ᲒᲣᲚᲨᲘ

„ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲘᲗᲥᲛᲘᲡ“...

● ᲜᲐᲜᲣᲩᲐ ჟორჟოლიანი ეუბნება ნინო ლაბარტყავას: – ვინც შეგაწყვეტინოს, იმას არ ეღირსოს სექსიო და ზუსტად მესამე სიტყვის შემდეგ შეაწყვეტინა.

თითები მაინც გადაეკვანტილებინა, ან იმაზე მოეკიდა ხელი!

ვაი ჩვენი ბრალი, ვინც ნანუკას ბოლო შოუ ნახა, კიდევ ერთხელ დარწმუნდებოდა, თუ რატომ არ უნდა უყუროს (არავინ არ უნდა უყუროს!) ამ პროვინციალი, ფალოსის გიჟი გვარამისტების „პანდორას ყუთს!...

● რესპუბლიკური პარტიის მიერ შექმნილი მითი, რომ ისინი არიან დასავლური ღირებულებების მატარებელი და დამცველი ერთადერთი ძალა, რომ მხოლოდ მათ შეუძლიათ დასავლეთთან ურთიერთობების დალაგება, კარგა ხანია დაიმსხვრა. გაგიკვირდებათ და ეს მითი კანდელაკმა და ჩიორამ კარგა ხანია, ევროსაბჭოს იმ რეზოლუციებით გააცამტვერეს, რომლებიც პირდაპირ საქართველოს წინააღმდეგ მიიღეს. ძალიან ადვილი დასანახია, რომ ამ პოლიტიკური ძალის დასავლეთთან ურთიერთობა ნაციონალური მოძრაობის მესამე თუ მეოთხე რგოლების ურთიერთობების ტოლფასია.

ჩიორა და კანდელაკი რომ გაჯობებენ ჰომეროსის მთარგმნელს, წესით, ქუდი უნდა დაიხურო და სოფოკლეს დაუბრუნდე, მაგრამ ტკბილია პარლამენტარის ხელფასი, ტკბილიიი!

● ათასნაირი განმარტება წავიკითხე „გენდერისა“ და მაინც ვერ მივხვდი, ვინ არიან და რა ჯანდაბა უნდათ!

გაუმარჯოს ფაუნას! – არის მკაცრად მამრი და მდედრი, – ლამაზები, ჭკვიანები. – არც მამათმავლები ჰყავთ, არც ლესბოსელები, არც იბიარდი აქვთ, არც არასამთავრობოები და კი არიან ბუნებასთან ჰარმონიულად.

● „მაესტროელებმა“ ლევან გაჩეჩილაძეს „რეგისტრირებული დირექტორი“ დაარქვეს. ალბათ, ის იგულისხმება, რომ გაბადაძე მირონცხებული დირექტორია.

● დეპუტატები, ვისაც გათხოვება არ უნდათ, კონსტიტუციურ შესწორებას ხმას აძლევენ,აი რესპუბლიკელები და ნაცები განათხოვრები კი არიან, მაგრამ ეტყობა, კიდევ უნდათ გათხოვება!

ᲐᲛᲝᲙᲠᲘᲑᲐ
ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲩᲘᲫᲔ

სვანიძის ნაბდის ჩექმა

„როსია 1“-მა XX ყრილობაზეე ხრუშჩოვის მოხსენების 60 წელი აღნიშნა

ნიკოლოზ კარლოს ძე სვანიძე, რომელიც ყოველთვის აღფრთოვანებული იყო ხოლმე (თავის „ქრონიკებსა“ და „დროის სასამართლოში“) ნიკიტა ხრუშჩოვის ანტისტალინიზმით, ფილმში „XX ყრილობა. წლისთავი“ წარმოგვიდგა არც ისე თაყვანისმცემლად პიროვნების კულტთან მებრძოლისა, როგორადაც ჩვენ შევეჩვიეთ...

ამ ფილმში „დათბობის“ შესახებ ის, ერთგვარად დაბნეული, დაეხეტება თოვლით დაფარულ რუსეთში ნაბდის ჩექმებით, როგორც სტალინი ოდესღაც თავის აგარაკზე. რომ ყოფილიყო უფრო ახლოს ხალხთან, „დაბამბულ ჯუბასთან“, რომლებიც სვანიძეს რატომღაც არ უყვარს? დაბერდა, ნიკრისის ქარმა შეაწუხა? თუ ტელეისტორიკოსი გადაკვრით ეუბნება მაყურებლებს, რომ ახლაც არავის სცალია „დათბობისათვის“, გვეწვია საშინელი პოლიტიკური ყინვები?

ფილმში, რომელიც ეძღვნება პასუხს შეკითხვაზე, თუ რატომ გაბედა ხრუშჩოვმა პიროვნების კულტის საჯარო გამოაშკარავება და მსოფლიოს კომუნისტური მოძრაობის ბელადის ჩამოგდება, მონაწილეობდნენ გიორგი მირსკი, ალექსეი სიმონოვი და ნიკიტა კროვოშეინი. რამდენადაც ისინი ისტორიკოსები არ არიან, დოკუმენტის ობიექტური კვლევა და მკაფიო პასუხები წარმოქმნილ შეკითხვებზე არ ყოფილა.

არ ყოფილა მოხსენების ტექსტის არანაირი ანალიზი, თუმცა თანამედროვე მკვლევარებმა იგი უკვე საკმარისად შეისწავლეს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენია მასში სიმართლე, რამდენი სიცრუე, პოლიტიკური ავანტიურიზმი და ბრძოლა ხელისუფლებისათვის, რამდენი გულწრფელობა მოწოდებაში — დაუბრუნდნენ „პარტიული ცხოვრების ლენინურ ნორმებს“ და, რაც მთავარია, როგორია იმ ზიანის მასშტაბი, რაც სსრ კავშირს მიაყენა მოხსენების გასაჯაროებამ...

ზოგიერთ ისტორიკოსს ეჭვი აქვს ხრუშჩოვზე, რომ ის მონაწილეობდა შეთქმულებაში სტალინის წინააღმდეგ და მის მკვლელობაში, თუმცა არც ერთ ისტორიკოსს ეჭვიც კი არ ეპარება ამაში, არამედ მათ ზუსტად იციან, რომ „ძვირფასი ნიკიტა სერგის ძე“ იყო მზაკვარი. ამ თითქოსდა მასხარამ სტალინის გარემოცვაში, ვისაც ცოტა ვინმე თუ მიიჩნევდა სერიოზულად, შეძლო ჩამოეშორებინა თავიდან „ტახტის ყველა პრეტენდენტი“ — უწინარეს ყოვლისა ბერია, რომ შემდეგ იაგოდას, ეჟოვისა და ბევრი თავისი ცოდვაც მისთვის დაეკისრებინა. მოხსენებაში ნახსენები „უდანაშაულოდ დაზარალებული“ პოსტიშევისა და ეისეს გარდა ხრუშჩოვი იყო მასობრივი რეპრესიების ერთ-ერთი ყველაზე მოსისხლე ენთუზიასტი.

ბერიას დროს, რომელიც შინსახკომის ხელმძღვანელად 1938 წლის ბოლოს დაინიშნა, ეს რეპრესიები, ფაქტობრივად, შეწყდა, დაიწყეს საქმეების ხელახალი გადახედვა, რეაბილიტირებული იქნა ორასი ათასზე მეტი მსჯავრდადებული. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როგორც მთავრობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ბერიამ კვლავ დაიწყო შინაგან საქმეთა ორგანოების კურირება და კვლავ დაიწყო მასშტაბური რეაბილიტაცია — მან ასეული ათასობით პატიმარი გაათავისუფლა (და ამის შესახებ ფილმში იყო საუბარი).

დრო იყო მკაცრი, არავის გამართლებას არ ვაპირებ, მაგრამ დავივიწყოთ ის, რომ ომის დროს ლავრენტი ბერიამ შეასრულა უზარმაზარი როლი სსრ კავშირის თავდაცვითი მრეწველობის ორგანიზაციაში და ის, რომ ის წარმატებით ედგა სათავეში საბჭოთა ატომურ პროექტს, რამაც ჩვენი ქვეყანა გადაარჩინა ბირთვული შეტევისაგან, რასაც ჩერჩილი და ტრუმენი გეგმავდნენ, — იქნებოდა შავი უმადურობა. „ძვირფასი ნიკიტა სერგის ძის“ საქმიანობა კი (განსაკუთრებით, მეორე კონკურენტის, მალენკოვის გადაყენების შემდეგ) სსრ კავშირის ხელმძღვანელის პოსტზე და საშინაო პოლიტიკაში და საგარეოშიც, იყო არაკომპეტენტური, თუ არ ვიტყოდით — მავნე.

ფილმში საუბარია, თუ როგორი ეფექტი მოახდინა მოხსენებამ XX ყრილობის მონაწილეებზე, მაგრამ მასში არაფერი ყოფილა იმის შესახებ, თუ როგორი დამღუპველი როლი შეასრულა მან სსრ კავშირისა და მისი მოკავშირეებისათვის. ცივი ომი მძვინვარებს — და აი მოულოდნელად ასეთი ზღაპრული საჩუქარი კრემლიდან ჩვენს გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს. იმის შესახებ, თუ როგორ მოხვდა მოხსენება დასავლეთში, შაბათის „ვესტიში“, როგორც ერთგვარ შეუდარებელ, გმირობის ტოლფას ამბებზე, ისაუბრა „ვესტის“ საკუთარმა კორესპონდენტმა ისრაელში სერგეი პაშკოვმა. ერთმა პოლონელმა ჟურნალისტმა, რომელმაც ემიგრირება გადაწყვიტა, როდესაც ბროშურა საიდუმლო მოხსენებით თავისი ნაცნობის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის რეფერენტის მაგიდაზე დაინახა, აიღო იგი და ასლის გადასაღებად გადასცა ისრაელის საელჩოში. იქიდან იგი მოხვდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც იგი კმაყოფილებით გაამრავლეს, თარგმნეს ყველა ენაზე.

დღემდე მსოფლიოში ურყევი ავტორიტეტი სტალინისა, სსრ კავშირის ლიდერისა, ვინაც ფაშიზმი დაამარცხა, დაინგრა არა დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს ან მი-ნ-ის მზაკვრობის, არამედ მხილებათა წყალობით, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტიდან მოდიოდა! უძლიერესი დარტყმა მიაყენეს მსოფლიოს კომუნისტურ მოძრაობას, პროსაბჭოთა (პრორუსულ) ძალებს მსოფლიოში. სტალინის ჩამოგდება გახდა 1956 წელს ბუდაპეშტსა და პოზნანში იმ აჯანყებების ერთ-ერთი საბაბი, მკაცრად რომ დაარბია ხრუშჩოვმა. დიდი ხნით გაუარესდა ურთიერთობა ჩვენს სტრატეგიულ მოკავშირესთან (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა). სხვათა შორის, ჩინელები, როდესაც მაო ძედუნის მოღვაწეობას აფასებდნენ, იყვნენ გაცილებით გონიერები და ბრძენები. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში რეპრესიების მსხვერპლთა რაოდენობა იყო გაცილებით მეტი, მათ არ გამოუაშკარავებიათ ჩინეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე, მის საქმიანობაში კი შეცდომები (რაც დაანგარიშებით 30 პროცენტს შეადგენდა) გამოყვეს მიღწევებისაგან (70 პროცენტი). მაოს დროშით დენ სიაოპინის რეფორმების წყალობით ჩინეთი მსოფლიოს ეკონომიკის ლიდერი გახდა.

სხვათა შორის, ყოველივე ამის შესახებ ეკრანიდან უნდა ესაუბრათ სპეციალისტებს. ყველა ღონემიხდილმა გათოშილმა ლიბერალმა როდი უნდა იმტვრიოს თავი, დაე, ვინმე ახალგაზრდამაც მოირგოს მთავარი ტელეისტორიკოსის ნაბდის ჩექმები.

ალექსანდრ კონდრაშოვი

Литературная Газета

დედამიწის ზურგზე

ირანში განაცხადეს, რომ ყველაფრის მიუხედავად, რაკეტების გამოცდას გაგრძელებენ

„ირანის სარაკეტო პროგრამა არ შეჩერდება არავითარ შემთხვევაში“, — განაცხადა ისლამური რევოლუციის მცველთა კორპუსის აეროკოსმოსური ძალების სარდალმა ამირალი ხაჯიზადემ. მან ასევე აღნიშნა, რომ ეს კორპუსი არასოდეს არ დაეთანხმება გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას ირანის სარაკეტო მოღვაწეობის საკითხთან დაკავშირებით.

ბელეარხ „როსიას“ ჟურნალისტები არასასურველი პირების სიაში შეიყვანეს

დეპორტაციის ოფიციალური მიზეზი გახდა „ლიტვის ეროვნული უშიშროების შესაძლო საფრთხე“. ჟურნალისტების გასახლება ქვეყნიდან გადაწყვიტეს მას შემდეგ, როდესაც ისინი უკანონოდ შეეცადნენ შეეღწიათ ღონისძიებაში, სადაც რუსეთის ოპოზიციის წარმომადგენლები იყვნენ, კერძოდ გარი კასპაროვი.

თეთრმა სახლმა გამორიცხა კუბაში ბარაკ ობამას შეხვედრა ფიდელ კასტროსთან

„ჩვენ არ გვიწარმოებია არანაირი მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ ასეთი ღონისძიება შედგეს. და, რასაკვირველია, ჩვენ არ დავიწყებთ ამგვარი შეხვედრების ძებნას“, — განაცხადა 9 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უშიშროების საკითხებში ბენ როდსმა. ადრე თეთრი სახლი აცხადებდა, რომ ობამას ფიდელ კასტროსთან შეხვედრა არ არის მოსალოდნელი, თუმცა იგი მთლიანად არ გამოურიცხავს.

კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გაუშვა მცირე სიშორის 2 ბალისტიკური რაკეტა

როდესაც დაახლოებით 500 კილომეტრი იფრინეს, რაკეტები ჩაცვივდნენ წყალში ნავსადგურ ვონსანის ჩრდილო-აღმოსავლეთში, რომელიც სამხრეთი კორეის აღმოსავლეთში მდებარეობს. „შეიარაღებული ძალები ყურადღებით ადევნებენ თვალყურს სიტუაციას და მზად არიან ნებისმიერი პროვოკაციისათვის ჩრდილოეთი კორეის მხრიდან“, — განაცხადეს ქვეყნის შტაბების უფროსთა კომიტეტში.

პრესამ გვაცნობა ბრიტანელი სპეცსამსახურების შეღწევის შესახებ ისლამური სახელმწიფოს 22 ათასი ბოევიკის მონაცემებში

საიდუმლო მონაცემები მიღებული იქნა იმ მამაკაცის ფლეშშემგროვებლიდან, რომელმაც მოახდინა ისლამური სახელმწიფოს რიგებიდან დეზერტირება და რომელმაც მოიპარა ინფორმაცია ქვედანაყოფისგან, შინაგან უშიშროებაზე რომაა პასუხისმგებელი. ფაილებში არის არა მხოლოდ სახელები, არამედ მისამართებიც, მობილური ტელეფონებიც და ბოევიკების ოჯახების წევრების კონტაქტებიც 51 ქვეყნიდან.

ერდოღანი: თურქეთი არ აღიარებს ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში შესვლას

თურქეთის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთის ფედერაციამ ამ საკითხში დაარღვია საერთაშორისო უფლება. უკრაინის პრეზიდენტ პოროშენკოსთან მოლაპარაკებაზე ერდოღანი შეუთანხმდა მას, რომ მოახდენს ნაბიჯების კოორდინირებას ყირიმელი თათრების უფლებების დაცვისათვის ნახევარკუნძულზე.

აშშ მზადაა, ითანამშრომლოს რუსეთთან მარსზე გაფრენის მომზადებაში

ამის შესახებ განაცხადა „ნასას“ დირექტორმა ჩარლზ ბოლდენმა კონფერენციაზე ვაშინგტონში. „მარსზე გაფრენა — ეს არის საერთაშორისო პროექტი“, — აღნიშნა ბოლდენმა. მისი სიტყვებით ამერიკის შეერთებული შტატები მზადაა ითანამშრომლოს ქვეყნებთან, რომლებსაც აქვთ სათანადო ტექნიკური რესურსები, რათა შეიტანონ თავიანთი წვლილი წითელი პლანეტისაკენ გაფრენაში მონაწილეობისათვის.

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (SRAMP)
კრედიტის/სესხის № **არ არის განსაზღვრული**
პროექტის №: **P149953**

დავალების სახელწოდება: **4 საგზაო მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობა (განხორციელებული პროექტირება-მშენებლობის კონტრაქტის მეთოდოლოგიით) შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტის ფარგლებში**

კონტრაქტი/RFP #: **SRAMP/CS/QCBS-02**
საიდენტიფიკაციო№: **SRAMP PP, საკონსულტაციო მომსახურება – პუნქტი #1.4**

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტისთვის**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო ფირმებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **„4 საგზაო მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობა (განხორციელებული პროექტირება-მშენებლობის კონტრაქტის მეთოდოლოგიით) შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტის ფარგლებში“.**

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ არის შეზღუდული) შემდეგს: შესაბამისი გამოცდილება საპროექტო ღონისძიებებთან მიმართებაში, ძირითადი პერსონალი კვალიფიკაცია, კორპორატიული პროფილი.

მოკლე სიაში შეევანის კრიტერიუმებია:
1. ზოგადი გამოცდილება საგზაო ინფრასტრუქტურულ პროექტებში;
2. ანალოგიური გამოცდილება:
– გზების სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობის კონტრაქტები წარმატებით დასრულებული 2006 წელს ან მას შემდეგ;
– დეტალური პროექტის მომზადება ან პროექტის გადახედვა (შესრულებული ზედამხედველობის კონტრაქტის ფარგლებში ან როგორც ცალკე კონტრაქტი) გზების სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების კონტრაქტებისთვის წარმატებით დასრულებული 2006 წელს ან მას შემდეგ;

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 30 თვე, ამას დამატებული 24 თვე დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გააამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]” (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში, „კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები”) – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურებებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით შეუძლიათ გაერთიანდნენ სხვა ფირმებთან ერთობლივი საწარმოს ან ქვე-კონსულტანტის სახით. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნეს №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება კონსულტანტის კვალიფიკაციისა და ღირებულების შერჩევის მეთოდით დროზე დაფუძნებული კონტრაქტისთვის მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტის შერჩევა და დაქირავება (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში).

ინტერესის გამოხატვის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2016 წლის 25 მარტის, 17:00 საათისა.**

სახელი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ელ.ფოსტა: info@georoad.ge
ვებ–გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia

Secondary Road Asset Management Project (SRAMP)

Credit/Loan No: TBD
Project No. P149953

Assignment Title: SUPERVISION OF REHABILITATION OF 4 ROAD SECTIONS (UNDER DESIGN-AND-BUILD CONTRACTING METHODOLOGY) UNDER SECONDARY ROAD ASSET MANAGEMENT PROJECT

Contract/RFP No: SRAMP/CS/QCBS-02
Reference No. SRAMP PP, Consultant Service - Item No.1.4

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Secondary Road Asset Management Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultants to express their interest in providing the following services:**” SUPERVISION OF REHABILITATION OF 4 ROAD SECTIONS (UNDER DESIGN-AND-BUILD CONTRACTING METHODOLOGY) UNDER SECONDARY ROAD ASSET MANAGEMENT PROJECT”.**

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile.

The Shortlisting Criteria are:
1. General experience in Road Infrastructure projects;
2. Similar experience in:
- Supervision of road construction/rehabilitation contracts Successfully Completed in or after 2006;
- Preparation of Detailed Design or Design Review (completed as a part of Supervision assignment or as a separate Contract) for road construction/rehabilitation Contracts Successfully Completed in or after 2006;

Estimated duration of assignment is 30 months plus 24 months of Defects Liability Period.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank’s *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011 Revised July 2014 (“Consultant Guidelines”), setting forth the World Bank’s policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm’s consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (***Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association***) to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on w on the following link:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

The Consultant will be selected under **Quality and Cost-based Selection method** for a **Time Based** contract set out in the World Bank’s Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011 Revised July 2014 (“Consultant Guidelines”).

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **March 25, 2016, 17:00 hours.** In case of submission in hard copy format, it should be accompanied by relevant Electronic Copy of the EOI.

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Division of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

ინფორმაცია საჯარო განხილვის შესახებ

ქ/ს „მარნეული-220“-სა და ქ/ს „მარნეული-500“-ს შორის 220კვ. ეგხ „მარნეული“-ს მშენებლობის პროექტი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იწყებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის (გზშ-ს) საჯარო განხილვას.

პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება 2016 წლის 5 მაისს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში 14:00 სთ-ზე. მისამართზე: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს 220კვ. ეგხ „მარნეული“-ს მშენებლობა, რომლის მეშვეობითაც მოხდება ქ/ს „მარნეული-220“-სა და ქ/ს „მარნეული-500“-ს შორის კავშირი.

განსახილველი გზშ-ს ანგარიშის წინასწარი ვერსია და შესაბამისი დეტალური ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეთათვის ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

- სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ - მისამართი: ქ.თბილისი, ბარათაშვილის №2, III სართული, ოთახი №304 (ამობეჭდილი ვერსია), ელექტრონული ვერსია იხილეთ ვებ-გვერდზე www.gse.com.ge
- ქ. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა – მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73.

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 45 დღისა. წერილობითი შენიშვნები და კომენტარები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ შემდეგ მისამართზე: სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ქ.თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, III სართული, ოთახი №304, ტელ. 2 510 264, საკონტაქტო პირი: ზეზვა ხვედელიძე, ელ. ფოსტა: zezva.khvedelidze@gse.com.ge

◎ ჭიდაობა



მეორე ბრინჯაო

რიგაში გრძელდება თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი. როგორც გაუწყეთ, 86 კილოგრამ წონით კატეგორიაში დავით მარსაგიშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მისი შედეგი გაიმეორა 97 კილოში ელიზბარ ოდიკაძემ. ქართველმა ფალავანმა პირველ წრეში შვეიცარიელი ფილიპ მარსელ ჰატერი (10:0), შემდეგ კი სლოვაკი იოზეფ იალოვიარი (11:0) ჩამოიშორა გზიდან. მეოთხედფინალში მომავალ ჩემპიონ ანზორ ბოლტუკაევთან (რუსეთი) დამარცხდა (0:12). დამამშვიდებელი ტურნირის პირველ წრეში პოლონელი რადოსლავ ბარანი დაჯაბნა (5:1), მერე უკრაინელ ვალერი ანდრიიცევს აჯობა 3:1 და მესამე ადგილი დაიკავა. 65 კილოში ზურაბ იაკობაშვილი მე-5 ადგილს დაყაბულდა.

გივი გაგუა

სურათზე: ელიზბარ ოდიკაძე.

◎ ფეხბურთი

როგორც იქნა...

ვამბობთ, „პსჟ“-ს, ვგულისხმობთ ჩემპიონთა ლიგის მომავალ ტრიუმფავატორს — ასე გამოეხმაურნენ პარიზელთა თავკაცის ლორან ბლანის შეგირდთა მეოთხედფინალში გასვლას ფრანგული სუპერკლუბის ქომაგები და ჟურნალისტთა ნაწილი.

შეგახსენებთ, რომ განვლილ ორ სეზონში ლორან ბლანის გუნდს მეოთხედფინალისკენ გზა სწორედ „არისტოკრატებმა“ გადაუკეტეს. ამჯერად რევანშის დრო დადგა.

„ჩელსი“ — „პსჟ“ 1:2 (0:0)
პირველი მატჩი 1:2
გოლები: დიეგო კოშტა; რაბიო, იბრაჰიმოვიჩი.

ამას წინათ „ლიონმა“ ამ სეზონის წაუგებელი „ყოჩი“ დაამარცხა, ამიტომ საფიქრებელი იყო, რომ მის მიერ გაკვალულ ბილიკს გუუს ჰიდინკის შეგირდებიც შეუყვებოდნენ. როგორც აღმოჩნდა, უშედეგოდ.

სხვათა შორის, 1:1-ზე სტუმართა მეკარე ტრაპმი ჯერ ვილიანის დარტყმა მოიგერია, ხოლო შემდეგ — აზარის. ეს იყო ორრაუნდიანი დუელის კულმინაცია — რამდენიმე წუთში იბრაჰიმოვიჩმა და მარიას ფლანგური გარღვევა ზუსტი დარტყმით დაგვირგვინა და ყველაფერს წერტილი დაუსვა.

„ზენიტი“ — „ბენფიკა“ 1:2 (0:0).
პირველი მატჩი 1:2.

გიორგი შოთაძე

◎ ტაილანდური კრივი და კიკბოქსინგი

არავის სურს, საერთო ფერხულს ჩამორჩეს

ამბავს წინათ სპორტის უნივერსიტეტის დარბაზმა კიკბოქსინგში საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. ჩვენი ქვეყნის, თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები სამი ასაკის 14 წონით კატეგორიაში ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. სხვებზე მეტი მედალი მასპინძლებმა მოიხვეჭეს, მათ შორის — ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის საქართველოს ფედერაციის პრეზიდენტის, ამ ღონისძიების ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელ გოჩა ჯავახიას შეგირდებმა.

სენაკში დაიბადა და გაიზარდა. სპორტით 1974 წლიდანაა გატაცებული. ჯერ კრივში გახდა სპორტის ოსტატი, 1986 წლიდან კარატეში გადაინაცვლა. საქართველოს ჩემპიონმა 1989 წელს საბრძოლო ხელოვნების კლუბი „ჯიქი“ ჩამოაყალიბა. სამი წლის შემდეგ სანკტ-პეტერბურგში საბრძოლო ხელოვნების მსოფლიო ფესტივალზე გაიმარჯვა. 1993 წელს საფუძველი ჩაუყარა საქართველოს კიკბოქსინგის ფედერაციას, რომელსაც დღემდე ხელმძღვანელობს. ამჟამად ეს ორგანიზაცია 32 ფილიალსა და 3.000-მდე სპორტსმენს აერთიანებს. გოჩა ჯავახიამ ბოლო 15 წელიწადში 14 მსოფლიოს ჩემპიონი გაზარდა, რომ არაფერი ვთქვათ ევროპის ჩემპიონებსა და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულებზე. მისი ინიციატივით ოთხი წლის განმავლობაში ტელევიზიით გადაიცემოდა ყოველკვირეული შეჯიბრებები ქართველი და უცხოელი კიკბოქსინგელების მონაწილეობით.

ბატონ გოჩას სპორტული ოჯახი ჰყავს — მისი სამივე ვაჟი კიკბოქსინგში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატია. უფროსი — დათო ჯავახია ორ-ორგზის მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი, სამგზის მსოფლიოს თასის მფლობელი და მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულია. ამჟამადაც განაგრძობს ვარჯიშს. მონრეალში ახლახან დიდი შეჯიბრება მოიგო, თან კანადელებს სემინარები ჩაუტარა. პროფესიონალებში მსოფლიოს ჩემპიონის ქამარი სამჯერ მოირგო. შუათანა ცოტნე კიკბოქსინგში ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონი და ტაილანდურ კრივში მსოფლიოს პრიზიორია, უნივერისიადაზე მეორე ადგილი დაიკავა, კანადაში საერთაშორისო ტურნირი მოიგო. მწვრთნელობაშიც ცდის ძალებს — უკვე ევროპის ჩემპიონებიც ჰყავს გაზრდილი. უმცროსი ვაჟი შოთა კიკბოქსინგში ჭაბუკთა მსოფლიოს პირველობის გამარჯვებულია, ტაილანდურ კრივში მსოფლიოს პირველობის ფინალში მძიმე ტრავმა მიიღო და რამდენიმე წელიწადი არ უვარჯიშია, ახლა უკვე განაახლა წვრთნა, თან საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს უდგას სათავეში.

— ქართველები ნიჭიერები ვართ, ოღონდ რეჟიმი გვჭირდება და საქმისადმი მეტი პასუხისმგებლური დამოკიდებულება, მაშინ სპორტის ნებისმიერ სახეობაში მივაღწევთ მაღალ შედეგებს, — გვითხრა გოჩა ჯავახიამ. — ურეჟიმოდ ზოგიერთის ნიჭიერება სხვებისთვის შეიძლება სავალალო აღმოჩნდეს: ვთქვათ, ერთს იოლად გამოსდის ყველაფერი, სხვებიც მას ბაძავენ და საერთო საქმე ფუჭდება. ამიტომ ვარჯიშებისას ძალიან მომთხოვნი ვარ, რინგზე ვდგავარ და შეგირდებთან ერთად ვღვრი ოფლს, შედეგებიც გვაქვს. შვილებს სხვებზე უფრო მკაცრად ვექცევი. სხვაგვარად გამარჯვებები არ მოვა — სპორტსმენებიც გრძნობენ ამას.

— თქვენ წარმატება ახსენეთ. შარშანდელ შედეგებზე რას იტყვით?

— ნაყოფიერი სეზონი გვქონდა: ტაილანდურ კრივში ევროპის ჩემპიონატზე ოთხი სპორტსმენი წავიყვანე თურქეთში და სხვადასხვა სინჯის სამი მედალი ჩამოვიტანეთ: 63 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩემი მოსწავლე ცოტნე სულთანიშვილი ჩემპიონი გახდა, გოგა გოგაშვილმა (57) მხოლოდ ფინალი დათმო, ხოლო 15-წლამდელებში ლუკა შონიამ მასპინძელთან ნახევარფინალი წააგო და მესამე ადგილს დასჯერდა. სლოვენიაში კიკბოქსინგელთა საერთაშორისო ტურნირზე ცოტნე ჯავახია (75) პირველი იყო, ხოლო ზურაბ მჭედლიძემ ვერცხლის მედალი მოიპოვა. კანადის ფესტივალზე 100 ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. ხუთი სპორტსმენი გავგზავნეთ: ცოტნე (75) და დათო (71) ჯავახიებმა ოქროს მედლები მოიპოვეს, შალვა ავთანდილაშვილმა (81) და თენგიზ ოქრუაშვილმა (86) ფინალები წააგეს, დათო აღნიაშვილი (63) „ბრინჯაოს“ დასჯერდა. შარშან ტაილანდში პირველად გაიმართა მსოფლიო უნივერსიადა ტაილანდურ კრივში. რადგან მწირი დაფინანსება გვქონდა, ჩვენგან მხოლოდ ორმა სპორტსმენმა იასპარეზა. ცოტნემ მეორე ადგილი დაიკავა.

— სამომავლოდ რა მიზნები გაქვთ?

— 2017 წელს პოლონეთში მსოფლიო თამაშები გაიმართება, რომლის პროგრამაში კიკბოქსინგი და ტაილანდური კრივიცაა შეტანილი. იქ საასპარეზოდ წლევანდელ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე ლიცენზიები უნდა მოვიპოვოთ. ტაილანდურ კრივში ევროპას თურქეთი, მსოფლიოს კი შვედეთი უმასპინძლებს, კიკბოქსინგში კონტინენტის პირველობა სლოვენიაში, 18-წლამდელთა მსოფლიო პირველობა კი ირლანდიაში ჩატარდება. კარგი სპორტსმენები გვყავს და სახელმწიფოსგან მეტი მხარდაჭერა თუ გვექნება, ამ შეჯიბრებებიდან აუცილებლად ლიცენზიებითა და მედლებით დავბრუნდებით, იმის მიუხედავად, რომ ტაილანდურ კრივში დიდი კონკურენცია იქნება, რადგან მომავალში ამ სახეობის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანას აპირებენ და არავის სურს, საერთო ფერხულს ჩამორჩეს.

წლეულსვე მინდა უწინდელი ტელეპროექტის განახლება. მაშინ ქართველი და უცხოელი სპორტსმენების ორთაბრძოლების ყოველკვირეულმა ჩვენებამ ის შედეგი გამოიღო, რომ, როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში ასობით მოზარდი მივიზიდეთ სექციებში, ქუჩას მოვწყვიტეთ ახალგაზრდები, სულითა და სხეულით ჯანსაღ თაობას ვზრდით, რაც ქვეყნის ინტერესებშიც შედის.

ვაჟა დანელია

სურათებზე: ცოტნე ჯავახია რინგზე; სპორტული ოჯახი.

◎ ინტერნეტიდან

გალილეა მონტეხო წლებს ნებდება

ადრეც დაგვიწერია და მაშინაც სულ ურუანტელი გვივლიდა, როდესაც ლეგენდარული მექსიკელი ფეხბურთელის კუატემოკ ბლანკოს მოდელ და მსახიობ ცოლზე გალილეა მონტეხოზე გესაუბრებოდით. გალილეა ხომ ქალთა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც არასოდეს ბერდებიან და მის დანახვაზე კიმ ჩენ ირის დაცვის უფროსისთანა ხალხიც კი უცოდველ კრავად იქცევა ხოლმე.

ლათინოამერიკული სერიალების ჩვენებურმა მოტრფიალეებმა, ალბათ, განსაკუთარებით კარგად იციან გალილეას სახელი და შესაძლებლობები, რადგან ამ ქალმა სახელი სწორედ მექსიკური სერიალებით გაითქვა. დიადი კუატემოკის შუშპარა და მჩქეფარე ცოლი მსახიობობას დღემდე აგრძელებს.

ერთადერთი, რაზეც ამ ბოლო დროს გალილეამ უარი თქვა, ეს მოდელის კარიერაა. თავად მონტეხომ გულწრფელი სინანულით განაცხადა, რომ ასაკმა და ჟამთა მდინარებამ მას თავისი კვალი დაატყო და პოდიუმის ფიცარნაგზე ძველებურად კუნტრუში მისი საქმე აღარაა. საქმეა ახლა ეს?...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ეს გულთან მისატანიც კი არ არის!..

რა მოხდება მზისა და მთვარის დაბნელებებს შორის?

მოახლოებულ მზის სრული დაბნელების პერიოდს მალე მთვარის დაბნელება და, პარალელურ რეჟიმში, ასტროლოგების რჩევაც მოჰყვა.

ასტროლოგი **ქეთი ვაწაძე** აცხადებს, რომ მზის სრული დაბნელების პერიოდი 9 მარტს, გამთენიისას, თევზების ნიშანში იქნება, ხოლო მთვარის დაბნელება — 23 მარტს არის მოსალოდნელი. დაბნელებებს შორის პერიოდი ტრადიციულად რთულად ითვლება და დიდ ყურადღებას ითხოვს თითოეული ჩვენგანისგან.

ასტროლოგის თქმით, დაბნელების დროს სამყაროში გამოდის უზარმაზარი ენერგია და როგორ იქნება ეს ენერგია გამოყენებული, ეს კონკრეტულ ადამიანებსა და მათ მიზანსწრაფვაზეა დამოკიდებული. შესაბამისად, შედეგიც შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე, უარყოფითიც.

ამდენად, ასტროლოგი გვირჩევს, 7-დან 23 მარტის ჩათვლით პერიოდი მშვიდობიანად გავიაროთ, აქ მნიშვნელოვანია ჩვენი აზრები, განზრახვები, ქმედებები, ვინაიდან ეს **„დაბნელებების დერეფანი მართლაც საბედისწერო მნიშვნელობისაა, რამდენადაც ამ პერიოდში გაკეთებულ გაცნობიერებულ ქმედებებს, რომლებიც მიმართული არიან ბედისწერის გასუფთავებასა და გაუმჯობესებაზე, რეალურად შეუძლიათ ცხოვრების შეცვლა უკეთესობისკენ. დაბნელებებს შორის პერიოდის ქცევაზე, საქმეებზე, აზრებსა და ემოციებზეა დამოკიდებული, როგორ შეიცვლება ჩვენი ცხოვრება უახლოესი 18,5 წელში“.**

ასტროლოგი მიიჩნევს, რომ დაბნელებას ყველაზე მეტად იგრძნობენ თევზები, ქალწული, მშვილდოსანი და ტყუპები. ამდენად, დაბნელების პერიოდში აუცილებელია სულიერებაზე აქცენტი — მედიტაცია, ლოცვა. ამ დროს უნდა მივაღწიოთ სულიერ ჰარმონიას საკუთარ თავთან და მთლიანად, სამყაროსთან.

„თუ შესაძლებელია საერთოდ, 7-26 მარტის პერიოდში ნუ დაიწყებთ ნურაფერს, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება თქვენთვის“, — გვირჩევს ასტროლოგი.

მზის სრული დაბნელების, ამ საოცარი ბუნებრივი ფენომენის შესახებ ასტრონომი, აბასთუმნის ობსერვატორიის მკვლევარი, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი რამიშვილი ამბობს, რომ ამ მოვლენას ძველი ასტროლოგები ფატალურ ზემოქმედებას მიაწერდნენ და ფიქრობდნენ, რომ ამ დროს ცხოვრებაში რთული პერიოდი იწყებოდა. მზისა და მთვარის წყვილს რაც შეეხება, გიორგი რამიშვილი განმარტავს, რომ პირადად იგი არ ემხრობა ასტროლოგების მოსაზრებას, რომ მზის დაბნელებიდან მთვარის დაბნელებამდე პერიოდი მძიმე იქნება. არც იმ აზრს იზიარებს, რომ რამდენი წუთიც გაგრძელდება მზის სრული დაბნელება, თურმე იმდენი თვის განმავლობაში მოსალოდნელია პრობლემები დედამიწაზე.



ასტრონომის თქმით, საქართველოდან მზის სრული დაბნელება არ გამოჩნდება და, ამდენად, საქართველოზე მისი ზეგავლენა მინიმალური იქნება.

„მზის დაბნელების მაქსიმალური ხანგრძლივობა 4 წუთია. ეს დრო საკმაოდ დიდია, მაგრამ გავლენა აქვს ძირითადად დედამიწის სამხრეთ ნახევარსფეროზე. დაახლოებით ინდოეთის ოკეანეში დაიწყება, ინდონეზიასთან, გადაივლის მთლიანად ინდოეთის ოკეანის ამ ნაწილს, შემდეგ — ინდონეზიის კუნძულებს, ძირითადი დაბნელების ზოლი ცოტათი ჩრდილოეთითაც გაივლის, პაპუა-ახალი გვინეიდან, მერე წყნარი ოკეანის ნახევარზე მეტს რომ გაივლის, იქ დამთავრდება. დაბნელების ძირითადი ზოლის გავლენის სფერო გასტანს თითქმის მთლიანად ავსტრალიაზე, ოღონდ მასში ავსტრალიის დიდი ქალაქები არ მოხვდება. დაბნელება არ ჩანს არც სიდნეიში, არც მელბურნში, არც — ახალ ზელანდიაში. ასევე, ზემოთა მხრიდან მინიმალური 5-10%-იანი დაბნელება მოიცავს ჩინეთის დიდ ნაწილს, კორეაც და იაპონიაც ხვდება 15-დან 25%-იან დაბნელებაში. საქართველო აქ არანაირად არ ჩანს, არც მზის ამოსვლისას და არც ჩასვლისას. დაბნელების მაქსიმუმი არის ჩვენი დროით დილის 5.55 საათზე. მართალია, მზის ამოსვლის მომენტში იწყება დაბნელება, მაგრამ საქართველოში ეს აბსოლუტურად უხილავია. ამდენად, ეს დაბნელება საქართველოზე არ იმოქმედებს. ეს დაბნელება რომ ჩანდეს საქართველოდან, მაშინ კიდევ შეიძლებოდა რამეზე უარყოფითად გვეფიქრა, მაგრამ ასე არ იქნება“, — აღნიშნა გიორგი რამიშვილმა.

მანვე განმარტა, რომ მზის დაბნელებისას მარტო საქართველოში ნერვიულობენ, სხვა ქვეყნებში კი ამ მხრივ სრული სიმშვიდეა. მით უმეტეს, ამაში არაფერი სანერვიულო არ არის. ისტორიიდან ისიც ცნობილია, ძვ.წ აღ-ის მეხუთე საუკუნეში დაბნელება რომ გამოაცხადეს, ხალხი გარეთ გამოვიდა და უყურებდა ამ დაბნელებას.

რაც შეეხება ასტროლოგთა ნაწილის გაფრთხილებას, რომ მზისა და მთვარის დაბნელებას შორის პერიოდი სახიფათოა, გიორგი რამიშვილი აცხადებს, რომ ეს იმას ჰგავს, ზოგიერთი ექიმი რომ შეაშინებს ავადმყოფს, რათა მისგან მეტი გასამრჯელო მიიღოს. პრაქტიკულად, 7-დან 23 მარტის პერიოდი სულაც არ არის საგანგაშო. მით უმეტეს, რომ 23 მარტსაც მთვარის დაბნელება მხოლოდ დედამიწის ნახევრიდან გამოჩნდება. თბილისიდან არც მთვარის დაბნელება გამოჩნდება და ორივე დაბნელება საქართველოსთვის ჩვეულებრივ ჩაივლის.

მანანა ნოზაძე

სანთელი

ოი, როგორ მიჭირს უშენობა

ჩემო საყვარელო დედა, ოი, როგორ მიჭირს უშენობა. ამ საწუთროში არავის არ შეუძლია ჩაწვდეს ჩემს ტკივილს. ტკივილს სულისას, ტკივილს გულისას. მხოლოდ შენ იყავი ერთადერთი, უთქმელადაც რომ იგებდი ჩემს სიხარულსა და ტკივილს. ეს შენ შეგეძლო დაგეამებინა ჩემში დარდი და სევდა. რა დიდი ძალა იყავი ჩემთვის, დიდი იმედი. ფუძე, რომელზედაც მყარად ვიდექი, ფარი, რომელიც ყველაფრისგან მიცავდი, საყრდენი, რომელზედაც ხელჩაჭიდებულს არაფრის და არავის შიში არ მქონდა. შენი დედისერთა, ობოლი შვილისათვის ყველაფერი იყავი — დედაც, მამაც, დაც, ძმაც და, რაც მთავარია, სულიერი მეგობარიც. დედა, საყვარელო, ძვირფასო, დაუვიწყარო, აუწონავო ძალავ, ჩემო შეუფასებელო განძო, ძალიან მიჭირს უშენობა. 15 მარტს 6 წელი შესრულდება ჩვენი დაშორებიდან. ეს ფიზიკურად, სულით კი, მჯერა, როგორც მე ვარ შენთან, ასევე შენც ჩემთან იქნები. ჩემო საყვარელო, ჩემო თვალის სინათლევ, ჩემო გზის მანათობელო, ჩემი და ჩემი შვილების აღზრდა-განათლებაში, ადამიანად ჩამოყალიბებაში დამაშვრალო, ნაამაგარო, სასიქადულო დედავ და ბებიავ. მეამაყება შენი შვილობა. შენი განვლილი ცხოვრება გზას მინათებს, დედა. ბედნიერებაა შენნაირი დედის ყოლა, დაშორება კი — უბედურება. დიდება და მადლობა უფალს, რომ მყავს შვილები, შენი და ჩემი სიცოცხლის გამგრძელებლები (უფალს ვთხოვ მათ დიდხანს, ჯანმრთელ, ბედნიერ სიცოცხლეს და გამრავლებას).

ჩემო უზომო ტკივილო, უსაყვარლესო დედიკო, იცოდე, ძალიან მიყვარხარ თვით სიცოცხლეზე და ლამის შვილებზე მეტადაც, ისე ძალიან მენატრები, გადმოცემაც კი არ შემიძლია.

მინდა, მოგიძღვნა თბილი სიტყვები,
როგორიც დედას ჩემსას ეგება
ამბავი ჩვენი დედაშვილობის,
მინდა შემორჩეს, დედი, ლეგენდად.

ღმერთს ვთხოვ, ნათელში დაამკვიდროს შენი სული, ჩემო მონატრებულო, საყვარელო დედა. ამინ!

ნანული (ნანა) გუნია

შენს ნახვას მონატრებული შენი დედისერთა.

შვილი ნანული (ნანა) გუნია, შვილიშვილები ედუარდი, გიორგი, რძლები თამარ, ნანა, ნინო, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ 2016 წლის 12 მარტს, 14 საათზე დანიშნულია მერი (მარიამ) მიხეილის ასულ ჭანტურიას

სამოქალაქო პანაშვიდი აბაშის რაიონის სოფელ მაცხოვრისკარის (განათლებისკარი) სასაფლაოზე.

შვილები დათო მაცხონაშვილი, არჩილ ბარათაშვილი, ძმა გულბათ ტორაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არტისტი

ელენე (ლიკა)

პიერის ასული

ჭავჭავაძე

პანაშვიდი 10, 11 III, გამოსვენება 12 III, 14 სთ. მისამართი: გ. ცაბაძის ქ. III კორპუსი, I სადარბაზო, ბინა 14.

ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა „ჰელსიკორის“ კოლექტივი მწუხარებას გამოხატავს და თანადგომას უცხადებს კლინიკის ანესთეზია-რეანიმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელს ირაკლი გოგოხიას და მის ოჯახს

გივი გოგოხიას

გარდაცვალების გამო.

რეკლამა
29 3-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელად უსამძიმრებს მეგობარ ჟურნალისტს დავით აქუბარდიას დედის

ლამარა გეგეჭკორის

გარდაცვალების გამო.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ნუგზარ ხალვაშის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნუგზარ ხალვაში (პირადი №61005001236), მის: ქობულეთი, სოფელი ხალა;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ქობულეთი, დაბა ჩაქვი, აღმაშენებლის №8, სართული I (საკადასტრო კოდი: 20.18.02.089.01.501).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 9124.50 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 11 მარტი, 12:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 25 მარტი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP28199016;

აუქციონის ნომერი: 71271

ლოტის ნომერი: 281990

6. **მოვალე:** ნუგზარ ხალვაში (პირადი №61005001236), მის: ქობულეთი, სოფელი ხალა.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. **აუქციონის პირობები:**

- უქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს სბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. სბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ სბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP28199016; ლოტის ნომერი: 281990).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 24 მარტის 18:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

◎ პრობლემა

რამდენად უსაფრთხოა კუსტარულად გადაკეთებული მიკროავტობუსები?

ბევრი მგზავრი და ძველი ტრანსპორტი

დედაქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტის კუთხით მდგომარეობა რთულდება. მერია ახალი ავტობუსების შემოყვანას იწყებს, მაგრამ ამით ყველა მიმართულებით გაჩენილი პრობლემა ვერ მოგვარდება.

ტრანსპორტისა და გზების ასოციაციაში ამტკიცებენ, რომ თბილისში სატრანსპორტო სექტორი უმძიმეს მდგომარეობაშია. მერიის ყველა განცხადება, მერიიდან კეთდება, რჩება მხოლოდ განცხადებად და არც ერთი ქმედითი ნაბიჯი პრობლემის გადასაჭრელად არ გადადგმულა.

„დღეს თბილისს ემსახურება 500-მდე ამორტიზრებული ავტობუსი, რაც საერთოდ არ შეესაბამება მგზავრთა ნაკადის რაოდენობას. ერთ ავტობუსზე მოდის 1400 მგზავრი. აღსანიშნავია, რომ დედაქალაქს 500 ავტობუსი ემსახურებოდა 70-80-იან წლებში, როდესაც თბილისის მოსახლეობა 700 000-ს არ აღემატებოდა. დღეს კი თბილისში დაახლოებით 1 400 000 კაცი ცხოვრობს, შესაბამისად, დედაქალაქის მგზავრთა ნორმალურად გადაყვანისთვის საჭიროა ორჯერ მეტი რაოდენობის ავტობუსი (1000 ერთეული).

პრობლემას ართულებს ისიც, რომ თბილისის მერიამ დააგვიანა სატენდერო წინადადების მომზადება და შესაბამისად ავტობუსების შეძენაც. სამწუხაროდ, ახალი ავტობუსები (170) კი არ დაემატება ძველ ავტობუსებს, არამედ ჩაანაცვლებს სრულიად ამორტიზირებულ ავტობუსებს. საერთო ჯამში კი, ავტობუსების რაოდენობა (500) დარჩება უცვლელი და მგზავრებს ისევ მოუწევთ ფეხზე დგომა, ოღონდ მგზავრთა ნაწილს უკვე ახალ ავტობუსში“, — აცხადებენ ასოციაციაში.

ავტობუსების ტენდერთან დაკავშირებით დედაქალაქის ხელმძღვანელობა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ხელმძღვანელობას სწორედ გუშინ შეხვდა. თბილისის მერმა დავით ნარმანიამ და ვიცე-მერმა ირაკლი ლექვინაძემ ევრობანკის დირექტორს სამხრეთ კავკასიაში, მოლდოვასა და ბელარუსში ბრუნო ბალვანერას და ევრობანკის მმართველ დირექტორს აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში ფრანსი მალიჟის უმასპინძლეს.

შეხვედრაზე ისაუბრეს, მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარებაზე, ავტობუსების პარკის განახლებაზე, მეტროს მოდერნიზაციას და საბაგირო გზების განვითარებაზე და ყურადღება საომომავლო, მჭიდრო თანამშრომლობაზეც გაამახვილეს.

ბრუნო ბალვანერას განცხადებით, ახალ ავტობუსებზე ტენდერი ამ დროისთვის მიმდინარეობს და წინადადებების მიღება მომავალ კვირას დასრულდება.

„გარდა ავტობუსების ტენდერისა, რაც მიმდინარეობს და მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქისთვის, ვისაუბრეთ, სამომავლო თანამშრომლობაზეც, ისეთ საკითხებზე როგორიცაა მყარი ნარჩენების მართვის კუთხით მუნიციპალური ტექნიკის განახლება. განვიხილეთ ასევე, თბილისის მეტროპოლიტენისა და საერთოდ, მუნიციპალური სატრანსპორტო კომპანიის შემდგომ მოდერნიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებში მხარდაჭერის და ასევე, გარე განათების თანამედროვე, ენერგოდამზოგავ ტექნოლოგიებზე გადასვლასთან დაკავშირებული საკითხები. შესაბამისად, მივიღეთ თანხმობა და ვაგრძელებთ ყველა ამ საკითხზე აქტიურ მუშაობას“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

ტრანსპორტისა და გზების ასოციაცია კი ყურადღებას ამახვილებს „ყვითელი მარშრუტკების“ პრობლემაზეც. ამჟამად დედაქალაქს ემსახურება 2300-მდე მიკროავტობუსი, რომელთა ნაწილიც კუსტარულად გადაიყვანეს გაზზე.

„გაზზე გადაყვანისას დაირღვა უსაფრთხოების ყველანაირი სტანდარტი. ასეთი ფორმით გადაკეთებული ერთი მიკროავტობუსი აფეთქდა ქალაქ რუსთავში, საბედნიეროდ იქ არც ერთი მგზავრი არ იმყოფებოდა. ასეთი მაღალი სასიცოცხლო რისკის შემთხვევაშიც კი, მერია ვერ აცნობიერებს არსებულ საფრთხეს“, — აცხადებენ ასოციაციაში.

დავით მესხიშვილის განცხადებით, დღეს დედაქალაქის სატრანსპორტო სექტორი უმძიმეს მდგომარეობაშია. საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რომელიც მოსახლეობას ემსახურება, არის არა მარტო არაკომფორტული, არამედ არასაკმარისი რაოდენობის და სასიცოცხლო რისკის შემცველიც კი.

ბექა დანელია

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-37-87
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◎ კრიმინალი

თაღლითიც ამას ჰქვია

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, გატარებული ოპერატიულ - სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თაღლითობის ბრალდებით, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ყოფილი თანამშრომელი ტარიელ ლალიაშვილი დააკავა.

ისარგებლა რა იმჟამინდელი სამსახურებრივი მდგომარეობით, მოქალაქეს მოატყუა, თითქოს კვლავ მუშაობდა გორის გამგეობაში მაღალ თანამდებობაზე და სასურველი მიწის ნაკვეთის შესყიდვაში დახმარების, კერძოდ, შეღავათიან ფასად აუქციონზე გატანის სანაცვლოდ მოსთხოვა 18 000 აშშ დოლარი, ხოლო წინასწარ მოტყუებით გამოართვა მოთხოვნილი თანხის ნახევარი 9 000 აშშ დოლარი.

ჩადენილი დანაშაული სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

თურქი მოქალაქე ბათუმში ჩადენილ დანაშაულს აღიარებს

შსს-ს აჭარის ა/რ-ის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე დორუქან ქ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ბათუმში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 49 აბი ე.წ. „ექსტაზი“ და 1,4134 გრ გამომშრალი მარიხუანა ამოიღეს. ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

მიხო თავისი კორპუსის სიახლოვეს ისე მოხერხებულად დააყენა მანქანა, რომ აქაოდა ასეთი კარგი გასაჩერებელი ადგილი არ დავკარგოო, ორი კვირაა, ფეხით დადის.

* * *

— **სვეტა**, ძალიან მსუქანი ვარ?

— რას ამბობ, ლენა! რა თქმა უნდა, არა! უბრალოდ ძალიან შესამჩნევი ხარ!

* * *

ვილაც ტიპმა მიხო ყურაწეული მიაჩანჩალა მამამისთან.

— რა გააკეთე ასეთი? — კითხულობს მამა.

— ჩემს მანქანას ქვა ესროლა.

— მოარტყა?

— არა...

— მაშინ გაუშვი ჩემი ბიჭი, მას არ უსვრია!

— რა იცით?

— ის არ ააცდენდა!

* * *

დიარეით გამწარებული ტიპი ბინაში შევარდა და ტუალეტს ეტაკა. იქ კი ცოლი ზის.

— ჩქარა გამოდი, მოთმენა არ შემიძლია, დიარეა მაქვს.

— ახალ ჩექმებს მიყიდი?

— გიყიდი, გიყიდი, ოღონდ ჩქარა გამოდი!

— ახალ ქუდსაც მიყიდი?

— ჰო, ჰო, ჩქარა გამოდი!

— ბეწვის ქურქსაც მიყიდი?

— ფუ, შენი...შენ კი, სულელო, იარე აწი ძველი პალტოთი!

გმადლობთ, რომ კითხულობთ ძველ და სანდო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“,
ყოველი ნომრის შეძენით თქვენ იცავთ თქვენს უფლებებს!